



საქართველოს
დაავადების სახელმწიფო
გეგმავადველობის სამსახური

2025

წლიური ანგარიში



ძვირფასო მკითხველბო, წარმოგიდგენთ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო გადახედველობის სამსახურის 2025 წლის ანგარიშს.

საქართველოში, სადაზღვევო სექტორი სტაბილურ და დინამიურ ზრდას განაგრძობს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ორჯერ დაფიქსირდა ბაზრის მოცულობის გაორმაგება. შედარებისთვის, 2015 წელს მოზიდული პრემია შეადგენდა **360 მლნ.** ლარს, 2020 წელს – **667 მლნ.** ლარს, ხოლო 2025 წელს **1,4 მილიარდ** ლარს გადააჭარბა, რაც **12%-ით** აღემატება გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს.

საქართველოში რეგისტრირებულია **19 სადაზღვევო კომპანია** და **26 სადაზღვევო ბროკერი**. ბაზრის ყველაზე დიდი წილი, **43%** ჯანმრთელობის დაზღვევას უკავია. შემდეგ პოზიციას იკავებს ავტოტრანსპორტის დაზღვევა ბაზრის **21%-ით**. საქართველოს მოსახლეობის **21%** სარგებლობს სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევის პროდუქტებით, ხოლო დაზღვეულია რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების **8%**. მღვწველთა აქტივების სტრუქტურა კვლავ მაღალი ხარისხით გამოირჩევა და უმეტესწილად, ლიკვიდური აქტივებისგან შედგება.

2025 წელს, სამსახურის საქმიანობა ორიენტირებული იყო როგორც არსებული გამოწვევების ეფექტიან მართვაზე, ასევე სისტემური მიდგომების დანერგვაზე.

საანგარიშო პერიოდში, „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა და შედეგად, მესამე სვეტის საპენსიო სისტემის ახალი რეგულაციები ამოქმედდა. სამსახურის მიერ საქართველოში პირველად გაიცა ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზია.

საანგარიშო პერიოდში, სამსახური აქტიურად მუშაობდა როგორც დაზღვევის სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის დახვეწის, ისე საერთაშორისო ინტეგრაციის და გამოცდილების გაზიარების მიმართულებით. წინა წლების მსგავსად, სამსახურის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები მიმართული იყო სექტორის სტაბილურობის, გამჭვირვალობის და მომხმარებლის უფლებების დაცვის გაძლიერებისკენ.

სავალუთო რისკების შესამცირებლად და ლარიზაციის პროცესის ხელშესაწყობად, საანგარიშო პერიოდში, ცვლილებები შევიდა სამსახურის კანონმდებლარე ნორმატიულ აქტში და განისაზღვრა კაპიტალის მინიმალური ოდენობის არანაკლებ **50%-ის** ლარში განთავსების ვალდებულება. ასევე, გამოიცა ახალი ნორმატიული აქტი – მღვწველში ეტიკის გოგადი პრინციპები და პროფესიული ქცევის მინიმალური სტანდარტები, რომელიც 2026 წლიდან მღვწველებისთვის სავალდებულოდ შესასრულებელია. დოკუმენტი განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში არსებულ მოთხოვნებს და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ეფუძნება.

2025 წელს, აქტიურ რეჟიმში გაგრძელდა საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესი გადახდისუნარიანობა 2-ის ღირებულებასთან, რომელიც სადაზღვევო სექტორის რისკზე დაფუძნებულ რეგულირებას და გადახედველობას ითვალისწინებს.

საანგარიშო პერიოდში, როგორც მრავალმხრივ, ისე ორმხრივ ფორმატში გასართული შეხვედრების ფარგლებში, აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობდა თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან:

- დაგლველის გადამხედველთა საერთაშორისო ასოციაციასთან (IAIS)
- საკენსიო გადამხედველთა საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOPS)
- ევროპის დაგლველისა და პროფესიული საკენსიო უზრუნველყოფის ორგანოსთან (EIOPA)
- ამერიკის შეერთებული შტატების დაგლველის გადამხედველთა ეროვნულ ასოციაციასთან (NAIC)
- აღმოსავლეთ ევროპის რისკის დაგლველის ასოციაციასთან (EERIA).

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში სამსახურის ორგანიზებით და მხარდაჭერით, საქართველოში სამი მასშტაბური საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა, რომელიც ორიენტირებული იყო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებაზე, სხვადასხვა ქვეყნის დაგლველის სექტორში მომუშავე უწყებებს შორის პროფესიული დიალოგის გაღრმავებასა და რისკზე დაფუძნებული გადამხედველობის ინსტრუმენტების გაძლიერებაზე.

2025 წელი მომხმარებლის დაცვის მიმართულებით განსაკუთრებული შედეგებით გამოირჩეოდა. მომართვიანობა გაიზარდა 60%-ით, რაც მიუთითებს, რომ მოქალაქეები უფრო მეტად აცნობიერებენ საკუთარ უფლებებს, ენდობიან სისტემას და აქტიურად იყენებენ დაცვის მექანიზმებს.

ჩვენი მიზანია, სადაგლველო ურთიერთობებში მომხმარებლის უფლებები გარანტირებულად იყოს დაცული და რეგულირების კონტროლის ფარგლებში გავაძლიეროთ სექტორი, რათა კომპანიებმა, მომხმარებლის წინაშე აღებული ფინანსური ვალდებულებები სრულფასოვნად შეასრულონ.

მადლობა მხარდაჭერისთვის, ჩართულობისა და თანამშრომლობისთვის საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტს, სამსახურის სამეთვალყურეო საბჭოს. ასევე, ჩვენს კოლეგა უწყებებს, სადაგლველო ინდუსტრიას, აკადემიურ სექტორს, მესპერტებს და უცხო ქვეყნების კოლეგა უწყებებს.

საქართველოს დაგლველის სახელმწიფო
გადამხედველობის სამსახურის უფროსი



დავით ტონჯაშვილი

სამსახურის უფროსის მიმართვა	1
სადაგლვევო საქმეთრის ლიცენზირება და რეგისტრაცია	4
• სადაგლვევო ორგანიზაციები	4
• ნებაყოფლობითი კერძო საკენსიო საქმიანობა	5
• რეგისტრირებული სადაგლვევო ბროკერები	8
საქართველოს სადაგლვევო ბაზარი და საგედამხედველო პროცესი	9
• სადაგლვევო ბაზრის მიმოხილვა	9
• სადაგლვევო ბროკერების საქმიანობა	25
• საგედამხედველო პროცესი	27
• აქტუარის პროფესიის დანერგვა და განვითარება საქართველოში	30
სამართლებრივი ბაზის განვითარება საქართველოში და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესი	31
• სამართლებრივი ბაზის განვითარება და ცვლილებები კანონმდებლობაში	31
• გადახდისუნარიანობა 2-ის დირექტივასთან ჰარმონიზაცია და რისკზე დაფუძნებული გედამხედველობის დანერგვა	33
• ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი	34
საერთაშორისო თანამშრომლობა – ინიციატივები და შედეგები	35
საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციები	35
• CESEE ISI 2025 ცენტრალური, აღმოსავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის დაგლვევის გედამხედველთა ინიციატივის შეხვედრა თბილისში	35
• XPRIMM 2025 საქართველოს საერთაშორისო სადაგლვევო კონფერენცია ბათუმში	36
• კონკურენცია და მომხმარებლის უფლებების დაცვა – IV საერთაშორისო კონფერენცია	37
საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	38
• დაგლვევის გედამხედველთა საერთაშორისო ასოციაცია IAIS	39
• საკენსიო გედამხედველთა საერთაშორისო ასოციაცია IOPS	44
• ამერიკის შეერთებული შტატების დაგლვევის გედამხედველთა ეროვნული ასოციაცია NAIC	45
• ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება სხვა ქვეყნების კოლეგა უწყებებთან	46
• საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობა	48
მომხმარებლის უფლებების დაცვის მექანიზმები	48
• მომართვიანობის დინამიკა და შედეგები	49
• სადაგლვევო საქმეთრში ეთიკის გოგადი პრინციპები და პროფესიული ქცევის მინიმალური სტანდარტები	49
• მომხმარებლის დაცვის ეროვნული სტრატეგია	51
• ფინანსური განათლების ხელშეწყობა და დაგლვევის კულტურის გაძლიერება	53
ადგილობრივ დონეზე განხორციელებული აქტივობები	58

სადაზღვევო სექტორის ლიცენზირება და რეგისტრაცია

2025 წლის მონაცემებით, საქართველოში ლიცენზირებულია 19 სადაზღვევო ორგანიზაცია, რომლებიც სიცოცხლის დაზღვევის და დაზღვევის (არა სიცოცხლის) ლიცენზიებს ფლობენ.

სს სადაზღვევო კომპანია იმედი ელ	სს სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი კოლდინგი	სს დაზღვევის კომპანია ქართუ
სს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო	სს სადაზღვევო კომპანია ავთობრაფი	სს სადაზღვევო კომპანია ალფა
სს სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია	სს სადაზღვევო კომპანია ვაიზარი	სს სადაზღვევო კომპანია უნისონი
სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი	სს სადაზღვევო კომპანია ტაო	სს გრინ დაზღვევა საქართველო
სს თიბისი დაზღვევა	სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი	სს რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია
სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი	სს ბბ დაზღვევა	სს ნიუ ვიჟენ დაზღვევა
სს არდი დაზღვევა		

მგლვევლის ადმინისტრატორების და სხვა უფლებამოსილი პირების შესაბამისობის შეფასება

„დაგლვევის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ამავე კანონით გათვალისწინებულ შესაფერისობის კრიტერიუმებთან (Fit and proper) შესაბამისობის დადგენის მიზნით, მგლვევლის ადმინისტრატორის (სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის, ხელმძღვანელი პირის), ასევე, შიდა აუდიტის კანდიდატურების წინასწარი შესწავლისა და შეთანხმების მიმართულებით, სამსახურის მიერ განხილული და შესწავლილ იქნა შესაბამისი დოკუმენტები/ინფორმაცია – 27 პირზე.



კანდიდატურების შესახებ დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობის გამო უარი ეთქვა 3 კანდიდატს – 1 სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრს და 2 ხელმძღვანელ პირს.

ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობა

„ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით, 2025 წლის განმავლობაში, მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა.

2023 წლის 28 ივნისს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ე.წ. მესამე სვეტის საპენსიო სისტემის მიმართ ახალი რეგულაციები ამოქმედდა.

„დაგლვევის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებთან ერთად, მოცემულმა კანონმა სამსახურის საგადახედველო ფუნქცია ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სისტემის მიმართულებით კიდევ უფრო დააზუსტა და გააფართოვა.

ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სისტემის გადამხედველობის კუთხით, აქტივების მმართველ კომპანიებთან და სპეციალიზებულ დეკლარირებულ მიმართებით, კანონმა – სამსახურის და საქართველოს ეროვნული ბანკის ერთობლივი საგადახედველო მექანიზმების გაითვალისწინა.

დაგლვევის სახელმწიფო გადამხედველობის სამსახურის მიზანია, საქართველოში ფინანსურად მდგრადი, სტაბილური ნებაყოფლობითი საპენსიო ბაზრის არსებობა, რაც ხანდაზმული მოქალაქეების მატერიალურად უზრუნველყოფილი მომავლის გარანტიას წარმოადგენს.

კანონის ამოქმედებამდე არსებულ არასახელმწიფო საკენსიო სქემების დაფუძნებლებს, თავიანთი საქმიანობის ახალ მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანის ვადად - 2026 წლის 1 იანვარი განესაზღვრათ.

გემოლენიშული კანონი, თავის მხრივ, 18 კანონმდებლარე ნორმატიულ აქტს მოიცავს, რომლებიც კანონთან ერთობლიობაში, ნებაყოფლობითი კერძო საკენსიო სისტემის სრულ სარეგულაციო ჩარჩოს აღგენს.

ერთის მხრივ, საკანონმდებლო მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების და მეორეს მხრივ, არსებული საკენსიო სქემების მონაწილეთა ინტერესებისა და უფლებების დაცვის მიზნით, მნიშვნელოვანი იყო ნებაყოფლობით კერძო საკენსიო სისტემის განხორციელებაში ჩართული ყველა რგოლის/სუბიექტის კოორდინირებული მუშაობა.

ახალი კანონის მიღებამდე, საქართველოში სამი არასახელმწიფო საკენსიო სქემა იყო რეგისტრირებული, რომელთაგან ორი სქემის დაფუძნებელს სადაზღვევო კომპანია წარმოადგენდა, ხოლო ერთი სქემა არამფლობელთა იურიდიული პირის მიერ საკუთარი დასაქმებულებისთვის იყო დაფუძნებული, კერძოდ სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“, სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“, შპს „საქაერონავიგაცია“.

არასახელმწიფო საკენსიო უზრუნველყოფის და დაზღვევის განმახორციელებელი სუბიექტების საქმიანობის ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა მთელ რიგ სისტემურ და პროცედურულ ცვლილებებს მოიცავდა, როგორც საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების და მათი მმართველი რგოლების, ისე საკენსიო სქემის წესების მიმართულებით.

საკენსიო კომპანიის ლიცენზირების პროცესი

არამფლობელ იურიდიულ პირს, როგორც საკენსიო საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტს, კანონით დადგენილი ახალი რეგულაციების შესაბამისად, საქმიანობის განხორციელება ნებაყოფლობითი კერძო საკენსიო საქმიანობის ლიცენზიის მიღების საფუძველზე დაევა. აღნიშნული პროცესის ფარგლებში, 2025 წლის ივნისის თვეში, შპს „საქაერონავიგაციის“ შესაბამისი მომართვის საფუძველზე, ახალი სუბიექტის _ შპს „საქაერონავიგაციის“ საკენსიო კომპანიის“ სალიცენზიო განცხადების განხილვის და შესწავლის პროცესი დაიწყო.

საკითხის სპეციფიურობის გათვალისწინებით, კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, სალიცენზიო განაცხადთან ერთად, სამსახურმა შეისწავლა:

- ▶ ლიცენზიის მაძიებლის სადამფუძნებლო სტრუქტურა;
- ▶ სადამფუძნებლო დოკუმენტები;
- ▶ მართვის ორგანოების სისტემა;
- ▶ მართვის ორგანოების წევრების შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობა, როგორც საკვალიფიკაციო კრიტერიუმების, ისე მჭიდრო კავშირების და ინტერესთა კონფლიქტების მიმართულებით;
- ▶ სუბიექტის კაპიტალის შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან;
- ▶ სუბიექტის საოპერაციო გეგმა – საქმიანობის დაწყებიდან მომავალი 24 თვის პერიოდზე.


2025 წლის 27 ოქტომბერს, შპს „საქაერონავიგაციის საკენსიო კომპანიაზე“ საქართველოში პირველად გაიცა ნებაყოფლობითი კერძო საკენსიო საქმიანობის ლიცენზია შპს „საქაერონავიგაციაში“ დასაქმებული პირების კერძო საკენსიო სქემის განხორციელების მიზნით და კომპანია დარეგისტრირდა, როგორც ნებაყოფლობითი კერძო საკენსიო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტი.

ახალი კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემდგომ ეტაპს წარმოადგენდა – რეგისტრირებული საკენსიო სქემების და ამ სქემების შესაბამისი წესების გადამუშავება/ცვლილებები.

ახალმა კანონმა დაადგინა – მნიშვნელოვნად განსხვავებული მოთხოვნები და რეგულაციები საკენსიო სქემის წესებთან მიმართებაში, როგორც ძირითადი მონაცემების, ისე მონაწილესთან გასაფორმებელი ხელშეკრულების, საინვესტიციო პოლიტიკის და რისკის მართვის პოლიტიკის დოკუმენტებთან დაკავშირებით.

საკენსიო სქემის სარეგისტრაციო პირობად განისაზღვრა აქტივების მმართველთან და სპეციალიზებულ დეკორიტარტან გაფორმებული ხელშეკრულებების წარმოდგენა და მათი გადახედვა/შესწავლა – სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში.

2025 წლის დასასრულიდან, ნებაყოფლობით კერძო საკენსიო საქმიანობას 3 სუბიექტი



რეგისტრირებულია 3 საკენსიო სქემა:

- სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ ნებაყოფლობითი კერძო ინდივიდუალური საკენსიო სქემა;
- სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის“ ნებაყოფლობითი კერძო ინდივიდუალური საკენსიო სქემა
- შპს „საქაერონავიგაციის“ ნებაყოფლობითი კერძო ჯგუფური საკენსიო სქემა (შპს “საქაერონავიგაციის” დასაქმებულთათვის)

რეგისტრირებული სადაზღვევო ბროკერები

საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა 2 სუბიექტის განაცხადი შეისწავლა და რეგისტრაციაში გაატარა შპს "სადაზღვევო ბროკერი ბიენსი ჯგუფი" შპს "ჯებროკერსი სადაზღვევო საბროკერო კომპანია".

2025 წლის მონაცემებით, დაზღვევის სფეროში საშუაევლო საქმიანობას 26 სადაზღვევო ბროკერი ახორციელებდა

შპს „დაზღვევის და გადაზღვევის ბროკერი გრეკო“

შპს "რეგულუმენ ინშურანს ბროუქერს საქართველო"

შპს "სადაზღვევო ბროკერი ჯი.ეს"

შპს "ჯორჯიან რეინშურანს ბროკერს GEORGIAN REINSURANCE BROKERS

შპს "სადაზღვევო ბროკერი რესპექტი"

შპს "სიბ ჯორჯია სადაზღვევო ბროკერი"

შპს "სადაზღვევო ბროკერი ნიკოლოზ ჯგუფი"

შპს "მაგნუსი სადაზღვევო ბროკერი"

შპს „სადაზღვევო-საბროკერო კომპანია აი ბი სი ჯორჯია“

შპს "სადაზღვევო საბროკერო კომპანია კალმა"

შპს "სადაზღვევო და გადაზღვევის ბროკერი ბროკერ ჰაუს ჯორჯია"

შპს "დაზღვევის და გადაზღვევის ბროკერი არიბა"

შპს „სადაზღვევო საბროკერო აქტონი“

შპს "სადაზღვევო ბროკერი ბროკერს ჰაბი"

შპს "საქართველოს სადაზღვევო ბროკერი ჯი-აი-ბი“

უცხოური საწარმოს ფილიალი „გამან ინშურანს&რეინშურანს ბროკერ-ის ფილიალი“

შპს "სადაზღვევო და გადაზღვევის ბროკერი პრიოტი"

შპს "სადაზღვევო ბროკერი ფრანი"

შპს "სადაზღვევო ბროკერი ინფორსი"

შპს "სადაზღვევო ბროკერი ვოლო"

შპს "სადაზღვევო ბროკერი ჯეოტრასტ"

შპს "დედა სადაზღვევო ბროკერი"

შპს "სადაზღვევო ბროკერი თიეი"

შპს „სადაზღვევო ბროკერი ვი ინშურ“

შპს "სადაზღვევო ბროკერი ბიენსი ჯგუფი"


შპს "ჯებროკერსი სადაზღვევო საბროკერო კომპანია"

კანონმდებლობით დადგენილ სადაზღვევო ლიმიტებთან და დაზღვევის პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, შესაბამისი პერიოდულობით, სამსახურმა ყველა რეგისტრირებული სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის განახლებული პოლისი შეისწავლა.

სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა


2025 წელს, სადაზღვევო ბაზრის მოზიდულმა ჯამურმა პრემიამ პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან 1,4 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 12%-ით აღემატება გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს.

მოზიდული პრემია მლნ. ლარი



ბოლო 10 წლის განმავლობაში, სადაზღვევო ბაზარი სტაბილურად განვითარდა. ბაზრის მოცულობა 300%-ით გაიზარდა.


მოზიდული პრემია წლების მიხედვით (მლნ. ლარი)



ეკონომიკის ზრდის პარალელურად, სადაზღვევო სექტორის წილი მშპ-ში 1,35%-იან წიშნულს სტაბილურად ინარჩუნებს.

აღნიშნული მაჩვენებელი განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს ჩამორჩება, ვინაიდან, ამ ეტაპისთვის, არ არის დანერგილი - სახმელეთო ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა. ასევე, სიცოცხლის დაზღვევის მაგროშეზღავდა და დაბრუნებადი სახმობები, რაც განვითარებულ სადაზღვევო ბაზრებზე წამყვან მიმართულებებად მიიჩნევა.

სადაზღვევო სექტორის წილი მშპ-ში



სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურა


- ბაზრის ყველაზე დიდ წილს ჯანმრთელობის დაზღვევა იკავებს 43%-ით.
- ჯანმრთელობის დაზღვევით საქართველოს მოსახლეობის 21% სარგებლობს.
- ბაზრის 21% ავტოტრანსპორტის დაზღვევას უკავია.
- საქართველოში რეგისტრირებული ავტოტრანსპორტის 8% არის დაზღვეული.

სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევისა და სახმელეთო ავტოტრანსპორტის დაზღვევის სახეობებზე მოთხოვნას განაპირობებს შემთხვევების შედარებით მაღალი სიხშირე და მომხმარებლების მიერ, მაღალი ალბათობით, მნიშვნელოვანი ოდენობის გარალის დადგომისგან დაცვის სურვილი.

ქონების დაზღვევის მიმართულებით, მეტია მოთხოვნა კორპორატიული სექტორიდან, რადგან ინვესტირებები და კრედიტორები ითხოვენ სადაზღვევო დაფარვას.


სიცოცხლის დაზღვევის მიმართულებით, გაყიდვების ძირითადი წყაროა საბანკო კრედიტებთან დაკავშირებული სადაზღვევო პროდუქტები.

სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურა




ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე ასახულია – წლების მიხედვით, სხვადასხვა სახეობაში მოცულობის ზრდის დინამიკა. ძირითადი ორი სახეობის – (სამედიცინო და სახმელეთო ავტოტრანსპორტი) განვითარების მზარდი მაჩვენებელი.

მოზიდული პრემიის დინამიკა სახეობების მიხედვით
(მლნ. ლარი)




გადაზღვევა: გადაზღვევო საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტი და რისკების დივერსიფიკაციის ძირითადი ინსტრუმენტი. 2025 წელს, აღინიშნება შემცირება მხოლოდ სამედიცინო (ჯანმრთელობის) რისკების გადაზღვევის ნაწილში. აღნიშნულ სახეობაში მღვწეველები რისკს საკუთარ თავზე სულ უფრო მეტად იტოვებენ, რადგან პანდემია და სხვა მსგავსი მოვლენები მოსალოდნელი არ არის. სხვა სახეობებში გადაზღვევის დინამიკა უცვლელია და მიჰყვება სახეობებში ზრდის დინამიკას.

გადაზღვევის პრემია წლების მიხედვით
(მლნ. ლარი)



არსებული კომპლექსური გადაზღვრვის ხელშეკრულებების დასმარებით, მღვწველებს ეძლევათ შესაძლებლობა, ნებისმიერი მოცულობის რისკი დააგლივონ. შედეგად, ქონებრივი რისკების გადაზღვრვის წილი მუდმივად, სხვა სახეობებთან შედარებით. ასევე, მნიშვნელოვანია გადაზღვრვის როლი ავიაციის, პასუხისმგებლობის და ვალდებულებათა შესრულების (მ.შ. გარანტიების) დაზღვრვის სახეობებში.

გადაზღვრვის პრემია ძირითადი სახეობების მიხედვით




დაზღვრვის სახეობები	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
სამედიცინო	6%	0%	3%	0%	2%	20%	18%	17%	16%	7%
სახმ. ტრანსპ.	3%	15%	26%	15%	10%	8%	12%	12%	13%	13%
ქონება	60%	58%	66%	58%	63%	64%	64%	66%	63%	55%
ავტო. პასუხისმგებლობა	7%	8%	10%	8%	3%	4%	5%	4%	4%	5%
სიცოცხლე	17%	12%	13%	12%	13%	13%	14%	20%	18%	20%
სხვა პას. დაზღვ.	42%	53%	53%	53%	62%	63%	68%	69%	67%	68%
ავიაცია	75%	88%	90%	88%	98%	93%	92%	93%	95%	92%
ვალდებ. შესრ. დაზ.	54%	52%	62%	52%	61%	61%	67%	69%	71%	63%
თვითმფრინო	28%	34%	33%	34%	33%	30%	31%	37%	40%	42%
სხვა.	21%	21%	17%	21%	32%	35%	29%	27%	22%	20%
სულ	21%	22%	24%	19%	21%	28%	26%	26%	25%	19%


ცხრილში ნაჩვენებია: ძირითად სახეობებში გადაზღვრვის პრემიის შეფარდება ჯამურ მოზიდულ პრემიასთან. მკაფიოდ ვლინდება სახეობები, რომლებშიც გადაზღვრვა ყველაზე მნიშვნელოვანია.

ქვემოთ მოცემული ორივე გრაფიკი ასახავს, სამედიცინო და სიცოცხლის დაზღვევის სახეობების გარეშე, მოზიდულ ჯამურ პრემიაში ნაბო პრემიის და გადაზღვევის პრემიის შეფარდებას აბსოლუტურ რიცხვებში და პროცენტებში. გამოხსენებული ორი სახეობის გამორიცხვით უკეთ ჩანს მსგავსი შეფარდება წლების განმავლობაში.

გადაზღვევის პრემია, როგორც მოზიდული ბრუტო პრემიის ნაწილი
(მლნ. ლარი)




გადაზღვევის პრემია, როგორც მოზიდული ბრუტო პრემიის ნაწილი
(%)



წლების განმავლობაში, მოზიდული და გამომუშავებული პრემიის თანმიმდევრული ზრდა და სიასლოვე მიუთითებს მომხმარებლების მაღალ ნდობაზე და სადაზღვევო პოლისების გაუმჯობესების დაბალ მაჩვენებელზე.

გამომუშავებული პრემიის ზრდის დინამიკა




სამსახური მუდმივად აკონტროლებს მგლვევლების მიერ რისკების შეკავებას და გადაზღვევის ხარისხს, რაც სისტემური სტაბილურობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

დიდი მოცულობის სადაზღვევო შემთხვევების დროს, გადაზღვევა მნიშვნელოვანი სტაბილიზაციის როლს ასრულებს. მსგავსი მასშტაბის გარალები არ არის ყოველწლიური, თუმცა მათი დადგომისას გავლენა მკვეთრია.

გადაზღვევა მგლვევლთა გარალის ტვირთს ამცირებს და უზრუნველყოფს - ექსტრემალური მოვლენების დროს, მათი ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებას. შედეგად, ნებთ დამდგარი გარალები შედარებით სტაბილურ დინამიკას ინარჩუნებს. შესაბამისად, ხარისხიანი გადაზღვევა კრიტიკულ მექანიზმს წარმოადგენს, როგორც მგლვევლთა ფინანსური მდგრადობის, ისე დაზღვეულთა ინტერესების დაცვისთვის.

დამდგარი გარალი (ბრუტო და ნეტო)




დამდგარი გარალები, მათი მოცულობის მიუხედავად, უმეტეს შემთხვევაში, ანაზღაურდება იმავე საანგარიშო პერიოდში

აღნიშნული მიუთითებს, როგორც გარალების ოპერატიულ მართვაზე, ისე გადაზღვრის ეფექტიან გამოყენებაზე

დიდი მოცულობის გარალების შემთხვევაში კი, კომპანიები ანაზღაურების უნარს ინარჩუნებენ და უზრუნველყოფენ დაგდებულთა მოთხოვნების დროულ დაკმაყოფილებას


ანაზღაურებული გარალები (ბრუტო) (მლნ. ლარი)



გრაფიკი აჩვენებს, რომ დამდგარი გარალები, მათი მოცულობის მიუხედავად, უმეტეს შემთხვევაში ანაზღაურდება იმავე საანგარიშო პერიოდში. აღნიშნული მიუთითებს როგორც გარალების ოპერატიულად მართვაზე, ისე გადაღლების ეფექტიან გამოყენებაზე.


შედეგად, დიდი მოცულობის გარალების შემთხვევაშიც კი, ორგანიზაციები ინარჩუნებენ ანაზღაურების უნარს და უზრუნველყოფენ დაგეგმულ მოთხოვნების დროულ დაკმაყოფილებას.

ანაზღაურებული გარალები (ნეტო) (მლნ. ლარი)




ბაზარზე კონკურენტული გარემო შენარჩუნებულია, თუმცა საანგარიშო პერიოდში, 5 უმსხვილესი მფლველელის წილი ბაზარზე მცირედით გაზრდილია, კონკურენცია მფლველეებს შორის მძაფრია და მათ მიერ ხშირად ხდება ინოვაციური, ტექნოლოგიურად განვითარებული პროდუქტების დანერგვა.

უმსხვილესი 5 მფლველელის ბაზრის წილი
(მლნ. ლარი)




უმსხვილესი 5 მფლველელის ბაზრის წილი წლების
მიხედვით (%)




ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს მღვწეველების სხვადასხვა კატეგორიაში მოქცევას - მათ მიერ მოზიდული პრემიის მოცულობის მიხედვით.

ბაზრის კონცენტრაცია მოზიდული პრემიის მიხედვით




2025 წელს, მღვწეველების აქტივების სტრუქტურა კვლავ მაღალი ხარისხით გამოირჩევა და უმეტესწილად ლიკვიდური აქტივებისგან შედგება.

მღვწეველების აქტივების სტრუქტურა



ჯამური ვალდებულებების უდიდეს ნაწილს სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები შეადგენს, რაც დადებითი მაჩვენებელია.

მგლვევლების ვალდებულებების სტრუქტურა




საანგარიშო პერიოდში, სადაზღვევო სექტორის მოგება გაზრდილია 1,5%-ით და 129 მლ. ლარს შეადგენს.

სადაზღვევო პრემიების 12%-ანი ზრდის ფონზე, მოგების 1.5%-ით ზრდა, ძირითადად, გამოწვეულია ნეთო დამდგარი ზარალების, ასევე ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯების ზრდით.


მგლვევლების ფულადი სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ უცხოურ ვალუტაში ინახება, რაც საერთაშორისო კარტნიორობის (ძირითადად გადაზღვევის) მნიშვნელოვანი წილითაც არის განპირობებული. შესაბამისად, კურსთაშორის სხვაობის გავლენა მოგებაზე ხშირად მნიშვნელოვანია, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ლარი სხვა ვალუტებთან მიმართებაში უფრო მყარდება.

მოგების დინამიკა წლების მიხედვით (მლნ. ლარი)




სხვა სექტორებთან შედარებით, აქტივების ლიკვიდურობა და კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი სადაზღვევო სექტორში საკმაოდ მაღალია, რაც ინვესტიციების თვალსაზრისით სექტორის მიზნობრივობას ხელს უწყობს.

კაპიტალზე უკუგების (ROE) დინამიკა




მგლვევლების ჯამური კაპიტალი წლების მიხედვით
(მლნ. ლარი)




წლების განმავლობაში, მზარდი მოთხოვნა მინიმალური კაპიტალის მიმართ მგლვევლებმა დროულად დააკმაყოფილეს. თუმცა, რამდენიმე შემთხვევაში საჭირო გახდა კაპიტალში დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა.

მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები (მლნ. ლარი)




საგადასახადებლო კაპიტალი წარმოადგენს მფლობელების მთლიან კაპიტალსა და გამოქვითვის კომპონენტებს შორის განსხვავებას. აქაც თანმიმდევრული და მზარდი დინამიკა, რაც სექტორის სტაბილურ განვითარებაზე მიუთითებს.

**საგადასახადებლო კაპიტალი
(მლნ. ლარი)**




გადახდისუნარიანობის მაჩვენებელი მფლობელების საქმიანობის მოცულობას ეფუძნება. რაც უფრო იზრდება საქმიანობის მოცულობა, მით უფრო მაღალია მფლობელების გადახდისუნარიანობის მიმართ მოთხოვნა (მაჩვენებელი). მიღებული მონაცემების მიხედვით, რომელიც გრაფიკზე არის ასახული, დგინდება, რომ მფლობელების საგადასახადებლო კაპიტალი უფრო სწრაფად იზრდება და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლის მოცულობას მნიშვნელოვნად აჭარბებს.

**გადახდისუნარიანობის მაჩვენებლის და
საგადასახადებლო კაპიტალის დინამიკა (მლნ. ლარი)**




ყოველწლიურად იზრდება მფლველეების საგადახდელო კაპიტალის თანაფარდობა გადახდისუნარიანობის მარჯასთან, რაც სექტორის მდგრადობის ერთ-ერთი ძირითადი ინდიკატორია. 2025 წლის ბოლოს, მფლველეების საგადახდელო კაპიტალის თანაფარდობა გადახდისუნარიანობის მარჯასთან 241%-ს შეადგენდა,

საგადახდელო კაპიტალის შეფარდება გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთან წლების მიხედვით




გრაფიკში მოცემულია მფლველეების ჯამურ კაპიტალში საგადახდელო კაპიტალის და გამოქვითვის კომპონენტების ოდენობები აბსოლუტურ რიცხვებში.

საგადახდელო კაპიტალის წილი მფლველეების ჯამურ კაპიტალში (მლნ. ლარი)




გრაფიკში მოცემულია მფლველების ჯამურ კაპიტალში საზღვარგარეთო კაპიტალის და გამოქვითვის კომპონენტების ოდენობები პროცენტულ მაჩვენებლებში.

**საზღვარგარეთო კაპიტალის წილი
მფლველების ჯამურ კაპიტალში
(% კაპიტალში)**



სადაზღვევო ბროკერების საქმიანობა

ბროკერების აქტიურობა სადაზღვევო საქმიანობაში შენარჩუნებულია. მგარდია მათი რაოდენობაც. 2025 წლის ბოლოს, რეგისტრირებული იყო 26 სადაზღვევო ბროკერი, თუმცა ძირითადი მოცულობა 6-7 ბროკერს შორის ნაწილდება. სადაზღვევო ოპერაციების (მოზიდული პრემიის) 7,4% ბროკერების მეშვეობით განხორციელდა.




ბროკერების მონაწილეობა სადაზღვევო ოპერაციებში

- ბროკერების მონაწილეობა
- სხვა


ბროკერების წილი გადაზღვრის ოპერაციებში შედარებით უფრო მეტად არის გამოხატული. გადაზღვრის ოპერაციების 1/5 ბროკერების მონაწილეობით ხორციელდება.

ბროკერების მონაწილეობა გადაზღვრის ოპერაციებში

- ბროკერების მონაწილეობა
- სხვა



გადაზღვრვასთან შედარებით, სადაზღვევო საქმიანობიდან მოზიდული პრემიის მეტი მოცულობიდან გამომდინარე, ბროკერების საკომისიო შემოსავლების, დაახლოებით, 2/3 სადაზღვევო საქმიანობაზე მოდის.



ბროკერების შემოსავლები წლების მიხედვით (მლნ ლარი)

- საკომისიო დაზღვრვიდან
- საკომისიო გადაზღვრვიდან

საგეგმავადველო პროცესი

საქართველოს დაგეგმვის სახელმწიფო გეგმავადველოების სამსახურის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა: მგლვევლების, სადაგლვევო ბროკერების და საპენსიო სქემების დამფუძნებლების “საგეგმავადველო სუბიექტების” ფინანსური მდგომარეობის, გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა და მისი შენარჩუნების კონტროლი. ასევე, საგეგმავადველო სუბიექტების მიერ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია.

საგეგმავადველო სუბიექტების უშუალო გეგმავადველოებას სამსახური ახორციელებს შესაბამისი კანონმდებლარე ნორმატიული აქტების საფუძველზე დამტკიცებული პერიოდული და ასევე კონკრეტული ბიზნეს გარიგებების მიხედვით მოთხოვნილი ანგარიშგებების ფორმების, დამატებით მოთხოვნილი ინფორმაციის, მგლვევლების ადგილზე ინსპექტირების პროცესში მოკოვებული დოკუმენტაციისა და დეტალური მონაცემების შესწავლის/ანალიზების გზით.

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ხდება შესაბამისი საგეგმავადველო ღონისძიებების და სანქციების ინიცირება:

სამსახური ასევე აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რაც უზრუნველყოფს ეფექტური გეგმავადველოების და რეგულირების პროცესის მუდმივ გაუმჯობესებას, ასევე მნიშვნელოვანი ინფორმაციის და გამოცდილების დროულად გაზიარებას.

დისტანციური გეგმავადველოება

დინამიკაში დაკვირვების ფარგლებში, სამსახური ახორციელებს - საგეგმავადველო სუბიექტების დისტანციურ გეგმავადველოებას, მათ მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მოწოდებული ანგარიშგებების დამუშავებას, შეფასებას და ანალიზს. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, როგორც გარე, ასევე შიდა მომხმარებლებისთვის სხვადასხვა სახის ანგარიშგებები მზადდება.

2025 წელს, სამსახურმა შეამოწმა:

- 19 მგლვევლი ორგანიზაციიდან მიღებული - 2024 წლის წლიური, IV კვარტლის, დეკემბრის და 2025 წლის I-III კვარტლებისა და იანვარი-ნოემბრის ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშგებების ფორმები, საგეგმავადველო კავიტალის და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლის გაანგარიშების ფორმები, აღებულ ნებთ ვალდებულებებსა და საგეგმავადველო კავიტალს შორის გლვრული თანაფარდობის წესის შესაბამისად წარმოდგენილი ანგარიშგებების ფორმები;
- მგლვევლი ორგანიზაციების და სადაგლვევო ბროკერების მიერ, ამავე პერიოდში, საბანკო დანახებულებებიდან წარმოდგენილი ცნობები ორგანიზაციების საბანკო ანგარიშგებზე რიცხული ფულადი ნაშთებისა და ამ ანგარიშგებზე კანონმდებლობით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საშუალებების და ღონისძიებების შესახებ, რომლის შედარება მოხდა წარმოდგენილი ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშგებების ფორმების მონაცემებთან;
- სადაგლვევო ბროკერების მიერ წარმოდგენილი, 2024 წლის წლიური და 2025 წლის 6 თვის, ანგარიშგების ფორმები.

მგლვევლის მიერ აღებულ ნებთ ვალდებულებებსა და საგეგმავადველო კავიტალს შორის გლვრული თანაფარდობის წესის შესაბამისი დანართების/ანგარიშგების ფორმების შემოწმების ფარგლებში, სამსახურმა დამხმარე ინფორმაცია გამოითხოვა. მათ შორის, ინფორმაცია გადაგლვევის ხელშეკრულებების შესახებ და გარკვეულ შემთხვევებში, შეისწავლა გაფორმებული გადაგლვევის ხელშეკრულებები.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა დაამუშავა:

- მღვმელი ორგანიზაციებიდან მიღებული, 2024 წლის, აუდიტირებული ანგარიშგებები. შეადარა აუდიტის დასკვნებისა და წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ფორმების მონაცემები-კაპიტალის, წმინდა მოგების, სადაზღვევო ამონაგებისა და გამომუშავებული პრემიის მიმართულებით;
- სადაზღვევო ბროკერებისგან მიღებული, 2024 წლის, აუდიტირებული ანგარიშგება;
- სავალდებულო დაზღვევის ცენტრიდან მიღებული, 2024 წლის დეკემბრისა და 2025 წლის იანვარი-ნოემბრის, ინფორმაცია და მღვმელი ორგანიზაციების მიერ ანგარიშგების ფორმებით წარმოდგენილ ინფორმაციასთან შედარა.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა მოამზადა:

- მღვმელი ორგანიზაციების და ნებაყოფლობით კერძო სავსესიო სქემის დამფუძნებლების მიერ სამსახურში წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმების საფუძველზე, სადაზღვევო ბაზრის – 2024 წლისა და 2025 წლის I-III კვარტლების, სტატისტიკური და ფინანსური ანგარიშგებები, რომლებიც გამოქვეყნდა სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
- სადაზღვევო ბროკერების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, სამსახურში წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმების საფუძველზე – 2024 წლისა და 2025 წლის 6 თვის ანგარიში მათ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, რომლებიც გამოქვეყნდა სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
- მღვმელი ორგანიზაციების მიერ სამსახურში წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმების საფუძველზე, ანალიტიკური ანგარიშები – მღვმელების ფინანსური მდგომარეობის, გადახდისუნარიანობის, ლიკვიდურობის, სადაზღვევო რეზერვების განთავსებისა და საგადახედველო კაპიტალის შესაბამისობის შესახებ.

სამსახურის მიერ აღირიცხა და გაკონტროლდა:

- მღვმელი ორგანიზაციების კაპიტალის მინიმალური ოდენობის უზრუნველსაყოფად საბანკო დანესებულებებში განთავსებული დეპოზიტების ხელშეკრულებები და მომგადდა მინიმალურ კაპიტალთან დაკავშირებული გარიგების/ტრანზაქციის განსახორციელებლად მღვმელებისთვის სამსახურის წინასწარი წერილობითი თანხმობები;
- მღვმელების მხრიდან, კაპიტალის მინიმალურ ოდენობასთან დაკავშირებით ახალი დამატებითი მოთხოვნის შესრულება;
- საგადახედველო სუბიექტების მიერ დისტანციური გადამხედველობის პროცესში დაკისრებული ჯარიმების გადახდის პროცესი.
- 2025 წელს, მსოფლიო ბანკის ექსპერტების მხარდაჭერით დანერგილი ანალიტიკური ინსტრუმენტის მეშვეობით განხორციელდა – 2024 წლის IV და 2025 წლის I-III კვარტლების, მღვმელების ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი.

2025 წლის განმავლობაში, გამოვლინდა 259 დარღვევის ფაქტი, კერძოდ:

საგუბერნიო სუბიექტების მიერ წარმოდგენილ ანგარიშგებებში შეუსაბამოებები და მცირე დარღვევები:

- გზავრელის საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნის დარღვევა;
- ინვესტირებისთვის დაშვებული ლიკვიდური აქტივების ოდენობის არასაკმარისობა;
- გზავრელის საგუბერნიო სუბიექტის კაპიტალის ოდენობის გაანგარიშების წესის მოთხოვნების დარღვევა;
- გზავრელის მიერ აღებულ ნეთ ვალდებულებებსა და საგუბერნიო სუბიექტის კაპიტალს შორის გლვრული თანაფარდობის წესის შესაბამისი დანართების და, ასევე, სამსახურის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა.

გამოვლილი დარღვევების აღმოფხვრის პროცესში, სამსახურმა გამოიყენა შესაბამისი საშუალებები.


ადგილზე ინსპექტირება

ადგილზე ინსპექტირების ძირითადი ამოცანაა – სამსახურის გუბერნიო სუბიექტების მიერ ანგარიშგებაში და დამატებით წარმოდგენილ ინფორმაციაში ასახული მონაცემების სიზუსტის, შიდა პროცესების და მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების ადგილზე შემოწმება.

2025 წლის განმავლობაში

- ოთხ სადაზღვევო კომპანიაში მიმდინარეობდა შემოწმება, საიდანაც ერთი 2024 წელს იყო დაწყებული.
- 2025 წელს, სამ სადაზღვევო კომპანიაში შემოწმების პროცესი დასრულდა და მოგვრდა შესაბამისი შემოწმების აქტები;
- ერთი სადაზღვევო კომპანიის შემთხვევაში, შემოწმების პროცესი გაგრძელდა 2026 წლის მარტის ბოლომდე.

შემოწმების პროცესი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:



- შემოწმების შედეგად გამოვლინდა საგადახედველო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარვეზები და შეცდომები.
- საგადახედველო სუბიექტებს დაევალებათ ხარვეზების აღმოფხვრა, ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშგებების დაზუსტება.
- შემოწმების პროცესში გამოვლენილი ინფორმაციის უზუსტობის და დაგვიანებით მოწოდებისთვის სამსახურმა სანქციის სახით ფულადი ჯარიმები გამოიყენა.

ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის მიმართულებით, სამსახური უზრუნველყოფს – სადაზღვევო ორგანიზაციების, საკენსიო კომპანიებისა და სადაზღვევო ბროკერების გადამხედველობას.

სამსახურში დანერგილი გადამხედველობის პრინციპების გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში, დამუშავდა – სადაზღვევო ორგანიზაციების, საკენსიო კომპანიების და სადაზღვევო ბროკერების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის გადამხედველობის ანგარიშგების (2024 წლის წლიური და 2025 წლის პირველი ნახევარი) ამსახველი ფორმები.

წარმოდგენილი ანგარიშგებების დამუშავების შედეგად აღმოჩენილი დარღვევების შესაბამისად, აღნიშნული სუბიექტების მიმართ სამსახურმა ფულადი ჯარიმები და/ან წერილობითი გაფრთხილებები გამოიყენა.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურის მიერ აღვიღვე ინსპექტირების გზით შემოწმებულ იქნა 2 სადაზღვევო ბროკერი და 2 სადაზღვევო კომპანია. აღმოჩენილი დარღვევების შესაბამისად, სამსახურის მიერ სანქციის სახედ გამოყენებულ იქნა ფულადი ჯარიმები და წერილობითი გაფრთხილებები. ამასთან, სამსახური უზრუნველყოფს შემოწმების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების/მითითებების გადამხედველობით შესრულების კონტროლს.

2025 წელს, სამსახური აქტიურად განაგრძობდა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ 2023-2026 წლების ეროვნული სტრატეგიის“ შესაბამისად, სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული აქტივობების შესრულებას.

2025 წელს, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის მიზნით, სამსახურმა განახორციელა სადაზღვევო ბროკერების მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკის გადამხედველობის ანგარიშგების ფორმების მონაცემების შედარება. შედეგად, სადაზღვევო ბროკერების მხრიდან რიგი ინფორმაცია/ანგარიშგებები დაზუსტდა.

აქტუარის პროფესიის დანერგვა და განვითარება საქართველოში

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, 2025 წლის 1 იანვრიდან, მღვწველებს აქვთ ვალდებულება ჰყავდეთ აქტუარი.

აქტუარის პროფესია ფართოდ არის აკრობირებული საერთაშორისო პრაქტიკაში და ემსახურება მღვწველის რისკების, ფასწარმოქმნის და ფინანსური მდგომარეობის გაანგარიშების სათანადოობის უზრუნველყოფას. აქტუარული გათვლები ზოგადად, სადაზღვევო ორგანიზაციის გადახდისუნარიანობის და ფინანსური სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

იმის გათვალისწინებით, რომ აქტუარი საქართველოს შრომით ბაზარზე იშვიათი და დეფიციტური პროფესიაა, 2024 წლამდე – საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში შესაბამისი სპეციალური სასწავლო კურსი, რაც შესაძლებელს გახდის აღნიშნული მიმართულებით კვალიფიციური კადრების მომზადებას, არ არსებობდა.

სამსახურში დასაქმებული აქტუარის უშუალო ჩართულობით, 2024 წლის 1 ოქტომბრიდან 2025 წლის 30 ივნისის ჩათვლით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, „არასიცოცხლის დაზღვევის აქტუარული მათემატიკის“ სასწავლო კურსი ჩატარდა. კურსის ინიცირება მოხდა აქტუარებისა და ფინანსური ანალიტიკოსების ასოციაციის (აფაა) მიერ. სასწავლო პროგრამა საერთაშორისოდ აღიარებული სერთიფიცირებული ანალიტიკოსი აქტუარის (CAA) კვალიფიკაციის მოთხოვნების შესაბამისად შემუშავდა. ლექციებს მართავდნენ სადაზღვევო სფეროს წამყვანი სპეციალისტები, მათ შორის, სამსახურის აქტუარი.

სასწავლო-სასერტიფიკატო კურსში მონაწილეობა მიიღეს როგორც სტუდენტებმა, ასევე სხვა დაინტერესებულმა პირებმა, რომლებსაც აქტუარის პროფესიის შესწავლა სურდათ. სწავლება იყო უფასო და წარმატებულ კურსდამთავრებულებს კურსის გავლისა და გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატები გადაეცათ. კურსზე 72 მსურველი დარეგისტრირდა, მათ შორის, 17 მონაწილე იყო სადაზღვევო კომპანიიდან.

სამართლებრივი ბაზის განვითარება საქართველოში და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესი

სამართლებრივი ბაზის განვითარება და ცვლილებები კანონმდებლობაში

2025 წელს, დაზღვევის სფეროში სამართლებრივი გარემოს ფორმირების, სრულყოფის მიზნით, განხორციელდა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება. დაიხვეწა საქტორული რეგულაციები, გაძლიერდა მომხმარებლის უფლებების დაცვის მექანიზმები და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესი გაგრძელდა.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურის მიერ შემუშავებული სამართლებრივი ინიციატივები მიმართული იყო სადაზღვევო ბაზრის სტაბილურობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფისკენ. ასევე, ეფექტიანი და რისკზე დაფუძნებული გადაწყვეტილების სისტემის დანერგვის ხელშეწყობისკენ.

სამსახურმა შეიმუშავა და გამოსცა შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

2025 წლის 17 თებერვლის **ბრძანება №91** – „საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კავშირის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო გადაწყვეტილების სამსახურის უფროსის, 2017 წლის 25 დეკემბრის, №27 ბრძანებით დამტკიცებულ წესში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცვლილებით დადგინდა: ვალდებულება, რომ წერილობითი განცხადების წარდგენის მომენტიდან ღირებულების გაძიებელ კომპანიას და მფლობელს კაპიტალის მინიმალური ოდენობის შესაბამისი ფულადი სახსრების არანაკლებ 50% განთავსებული ჰქონდეს საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს სავალუტო რისკის შემცირებას.

2025 წლის 16 ივნისის ბრძანება №92 - „მფლობელის მიერ აღებულ ნაბიჯ ვალდებულებებსა და საგადახედველო კაპიტალს შორის გღვრული თანაფარდობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს დაგღვევის სახელმწიფო გადამხედველობის სამსახურის უფროსის, 2019 წლის 6 აგვისტოს, №33 ბრძანებით დამტკიცებულ წესში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცვლილებით დადგინდა: ვალდებულებათა შესრულების დაგღვევის სახეობაში რისკის აღებისას, მფლობელის საგადახედველო კაპიტალის და შესაბამისი თავისუფალი ან/და მიბარებული ფულადი სახსრების მიმართ მოთხოვნები. ცვლილების შესაბამისად, მფლობელს, მხოლოდ სამსახურის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, ეძლევა საშუალება, აიღოს რისკები, რომელიც მისი საგადახედველო კაპიტალის 15%-ს აღემატება, მაგრამ არაუმეტეს 25%-ისა.

2025 წლის 3 ნოემბრის ბრძანება №93 - „მფლობელში ეტიკის ზოგადი პრინციპებისა და პროფესიული ქცევის მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ“.

დოკუმენტი ეფუძნება განვითარებული ეკონომიკების საუკეთესო პრაქტიკას და პროფესიული ქცევის აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებს. ითვალისწინებს ადგილობრივი სადაგღვემო ბაზრის სპეციფიკას და მომხმარებლის უფლებების დაცვის პრიორიტეტულ საკითხებს.

დაგუშავდა და მოგზადდა:

- „ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაკისრებული ფულადი ჯარიმის გადახდევინების იძულებით აღსრულების თაობაზე სააღსრულებო უფრცლის ფორმის და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების პროექტი;
- “სსიპ - საქართველოს დაგღვევის სახელმწიფო გადამხედველობის სამსახურის შექმნისა და მასთან არსებული სამეთვალყურეო საბჭოს ჩამოყალიბების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის №102 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი, რომელიც ეხება სამსახურისთვის არასამწნარემო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნების უფლებამოსილების მინიჭებას, დაგღვევის სექტორში პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნებისთვის;
- „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე გამოსაცემი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტი - მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან ერთად, რომელიც ითვალისწინებს საპენსიო სქემის დამფუძნებლის მიერ საქართველოს დაგღვევის სახელმწიფო გადამხედველობის სამსახურისათვის ანგარიშგების წარდგენის წესს და ანგარიშგების ფორმების დამტკიცებას. აღნიშნულ საკითხზე მუშაობა გრძელდება.
- საპასუხო პოზიცია „საქართველოში შემომსვლელი ტურისტების ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის სავალდებულო დაგღვევის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე;
- მფლობელების მიერ მოწოდებული ინფორმაციული სისტემის აუტორსინგული ხელშეკრულებების 4 პროექტი და დადგენილ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის უგრუნველყოფის მიზნით მიეცათ რეკომენდაციები, რის შემდეგაც ხელშეკრულებების დადების თაობაზე გაიცა თანხმობა და შესაბამის რეესტრში აღირიცხა;


- მოსაზრებები ბანკების მიერ სადაზღვევო ორგანიზაციების შერჩევის კრიტერიუმების დადგენის თაობაზე;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან მიღებული დოკუმენტები - ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) მომსახურებით, ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმების (GATS) ფარგლებში, საქართველოს მიერ აღებული სპეციფიკურ ვალდებულებათა ცხრილში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, რითაც დადასტურდა, რომ დაზღვევის სფეროში ბაზარზე დაშვების შეზღუდვებთან დაკავშირებული მოცემულობები (VII. საფინანსო სფეროს მომსახურება) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ პირობებთან შესაბამისობაშია;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მიღებული კორესპონდენცია, რომელიც ეხებოდა - 2023-2028 წლების, საქართველოს კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე, 2025-2026 წლების, სამოქმედო გეგმას;
- პოზიცია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტზე და მიენოდა შესაბამისი უწყებას;
- სამსახურის ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შესაბამისი პოლიტიკებისა და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების პროექტები;
- გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, სამსახურში სექსუალური შევიწროების პრევენციის და მასზე რეაგირების მექანიზმი.

გადახდისუნარიანობა 2-ის ღირებულებასთან ჰარმონიზაცია და რისკზე დაფუძნებული გადახედვულობის დანერგვა

2025 წელს, მუშაობა გაგრძელდა „დაზღვევისა და გადახედვების საქმიანობის დაწყებისა და ფუნქციონირების შესახებ“ (გადახდისუნარიანობა 2/SOLVENCY II), ევროკარლამენტისა და ევროსაბჭოს, 2009 წლის 25 ნოემბრის, 2009/138/EC ღირებულებასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიმართულებით.

ვინაიდან ღირებულების მოთხოვნები სისტემური ხასიათისაა და სადაზღვევო ორგანიზაციების საქმიანობისადმი განსხვავებულ სარეგულაციო მიდგომებს აწესებს, მისი სრულად იმპლემენტაციის საკითხი დროში განვრცობადია და განსაკუთრებული სიფრთხილით დაგეგმვას მოითხოვს.

გადახდისუნარიანობა 2-ის სისტემა შედგება სამი სვეტისგან (ე.წ. პილარი)



უცხოელ ექსპერტებთან გაგართული კონსულტაციების შედეგად, რომელშიც საქართველოს სადაზღვევო ბაზრის სპეციფიკა და ინტერესები იყო გათვალისწინებული, რეფორმის პირველ ეტაპზე, სამსახურმა პრიორიტეტულ საკითხად განსაზღვრა მართვის სისტემასთან დაკავშირებული მიმართულების მოწესრიგება და ცვლილებების ეტაპობრივი დანერგვისთვის საჭირო საშუალო პროცესის უზრუნველყოფა.

გემოლნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მოამზადა „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეთანხმების შესახებ კანონპროექტი, რომელიც მოსაზრებების წარმოდგენისთვის გაეგზავნა – საქართველოში რეგისტრირებულ სადაზღვევო კომპანიებს, საქართველოს სადაზღვევო კომპანიებას ასოციაციას და დაზღვევის კავშირს. მიღებული მოსაზრებები და წინადადებები დამუშავდა და მათთან კოორდინირებული თანამშრომლობა აქტიურად გრძელდება.

ცვლილება, ასევე, ეხება გადახდისუნარიანობა 2-ის ღირებულებით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად, კონფიდენციალობის საკითხების რეგულირებას, რომლის უპირველესი მიზანი იყო IAIS-ის მემორანდუმის (MMoU) ხელმოწერისთვის მოქმედ კანონმდებლობაში საკმარისი საკანონმდებლო რეგულირების შემოტანა.

ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი

ევროკავშირთან ინტეგრაციის მიმართულებით, 2025 წელს, სამსახურმა აქტიურად გააგრძელა თანამშრომლობა საქართველოს საგარეო საქმეთა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროებთან. ევროკავშირთან სამართლებრივი დაახლოების ვალდებულების შესრულების მონიტორინგის მიზნით, სამსახური ჩართული იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შექმნილი სამართლებრივი დაახლოების ელექტრონული პლატფორმის (EMS) ფარგლებში შესაბამისი სამუშაოების შესრულების პროცესში.

კერძოდ, გაგრძელდა მუშაობა ევროკავშირთან სამართლებრივი დაახლოების კოორდინაციისა და მონიტორინგის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მიმართულებით. გადაწყვეტილება მოიცავდა, 2014 წლის 1 სექტემბრიდან 2018 წლის 21 აგვისტომდე პერიოდში, ევროკავშირთან სამართლებრივი დაახლოების ვალდებულებიდან გამომდინარე მიღებული ნორმატიული აქტების, განმარტებითი ბარათების და შესაბამისობის ცხრილების მომზადების შესახებ ინფორმაციის განთავსებას სამართლებრივი დაახლოების ელექტრონულ პლატფორმაზე. აღნიშნული ვალდებულების შესრულების ვადად განსაზღვრული იყო – 2025 წლის დასასრული.

გემოხსენებული გადაწყვეტილების შესრულების მიზნით, მომზადდა ევროკარლამენტის და ევროსაბჭოს 2002 წლის 9 დეკემბრის №2002/92/EC დირექტივასთან დაკავშირებით შესაბამისობის ცხრილი „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფორმით და შესაბამის ელექტრონულ პლატფორმაზე განთავსდა.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოთხოვნით, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მიმართულებით, ექვსთვიანი და წლიური ანგარიშები მომზადდა. ანგარიშები მოიცავდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მდგომარეობას. ასევე, ასოცირების შეთანხმების ელექტრონული მონიტორინგის სისტემაში, სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, შესრულების მდგომარეობას.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა დაამუშავა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან მიღებული დოკუმენტი – 2025 წლის 4 ნოემბერს, ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული გაფართოების პოლიტიკის შესახებ ერთობლივი კომუნიკაცია (EU Enlargement Policy) და მორიგი წლიური ანგარიში საქართველოს შესახებ. საგარეო საქმეთა სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურმა დასაბუთებული და არგუმენტირებული პოზიცია მოამზადა ევროკავშირთან დაახლოების მიმართულებით გაწეული სამუშაოების თაობაზე.

2025 წელს, სამსახური მუშაობდა როგორც დაზღვევის სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის დახვეწის, ისე საერთაშორისო ინტეგრაციის და გამოცდილების გაზიარების მიმართულებით. აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობდა თანამშრომლობა – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, და საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან

|საერთაშორისო თანამშრომლობა – ინიციატივები და შედეგები

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო გადახედველობის სამსახურის ორგანიზებით და მხარდაჭერით, ქვეყანაში სამი მასშტაბური საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა, სადაც მთავარ პრიორიტეტებად განისაზღვრა: საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა ქვეყნის დაზღვევის სექტორში მომუშავე უწყებებს შორის პროფესიული, ქვედითი დიალოგის გაღრმავება, რისკზე დაფუძნებული გადახედველობის ინსტრუმენტების გაძლიერება და მომხმარებლის უფლებების დაცვის მექანიზმების გაუმჯობესება, რაც საქართველოში ძლიერი, მდგრადი და უსაფრთხო სადაზღვევო ბაზრის ფორმირების ხელშემწყობი პირობაა. შესაბამისად, 2025 წელი საქართველოს სადაზღვევო სექტორისთვის მნიშვნელოვანი იყო, როგორც საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების, ისე ქართული სადაზღვევო ბაზრის შესაძლებლობების და საერთაშორისო პლატფორმებზე მიღწევების წარდგენის თვალსაზრისით.

საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციები

CESEE ISI 2025 – ცენტრალური აღმოსავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის დაზღვევის გადახედველთა ინიციატივის შეხვედრა თბილისში

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო გადახედველობის სამსახურის უფროსმა, დავით ონოფრიშვილმა ცენტრალური აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის დაზღვევის გადახედველების ინიციატივას – CESEE ISI (CENTRAL, EASTERN AND SOUTH-EASTERN EUROPEAN INSURANCE SUPERVISION INITIATIVE) საქართველოში პირველად უმასპინძლა, რომლის რიგით 24-ე შეხვედრა თბილისში გაიმართა. შეხვედრას, საქართველოს ჩათვლით, 12 ქვეყნის დაზღვევის გადახედველი უწყებების 30 წარმომადგენელი ესწრებოდა.



კონფერენციაში მონაწილე ქვეყნები: ავსტრია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, რუმინეთი, მოლდოვა, ჩრდილოეთ მაკედონია, მონტენეგრო, კოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი და ხორვატია.

კონფერენციაში მონაწილე 6 ქვეყნის კოლეგა საგადახედველო უწყების ხელმძღვანელი პირები:

პეტერ ბრაუნშულერი, ავსტრიის საფინანსო ბაზრის საგადახედველო უწყების (FMA) მმართველი დირექტორი დაზღვევის, საკენსიო და კორპორატიული კომპანიების გადახედველობის მიმართულებით, რომლის მხარდაჭერითაც დაიგეგმა ლონისძიება; გორაზდ ჩიბეი (სლოვენია); ივან ლუბურიჩი (ბოსნია და ჰერცეგოვინა); მარკო ივანოვიჩი (მონტენეგრო); ადრიან გეორგიტა (მოლდოვა) და სორინ კრისტინელ მიტიტელუ (რუმინეთი).

კონფერენციის ფარგლებში, მონაწილეებმა განიხილეს - მომხმარებლის დაცვის თანამედროვე მიდგომები, დაზღვევის გადასხედველთა როლი კრიზისულ პირობებში, მენეჯმენტისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შესაბამისობის შეფასების მიმართ არსებული საზედამხებდველო პრაქტიკა. ასევე, ავტომობილებისა და მათი მფლობელების პასუხისმგებლობის დაზღვევის მიმართულებით არსებული გამოწვევები, მათ შორის, ტარიფების ლიბერალიზაციამდე გასათარგმნელი აქტივობები.

კონფერენციის ფარგლებში, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო გადასხედველობის სამსახურის მომხმარებლის უფლებების დაცვისა და ფინანსური განათლების სამმართველოს უფროსმა, მარიამ ნიკოლაძემ პრეზენტაცია გააკეთა თემაზე: “მომხმარებლის უფლებების დაცვის მექანიზმები საქართველოში”.

შეხვედრამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა საქართველოს მზარდი როლი რეგიონულ სადაზღვევო გადასხედველობაში, რაც ერთ-ერთი მთავარი პირობაა საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების, პროფესიული დიალოგის გაღრმავების, რეგულირების სტანდარტების გაცვლისა და მდგრადი, უსაფრთხო სადაზღვევო ბაზრის ჩამოყალიბების მიმართულებით.

CESEE ISI არის მრავალწლიანი თანამშრომლობის პლატფორმა, რომელიც მიზნად ისახავს: დაზღვევის გადასხედველების ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას, რეგულირების მიდგომების ჰარმონიზაციას, გამომწვევებზე ერთობლივ რეაგირებას, საერთაშორისო სტანდარტების გაზიარებას, რეგიონში დაზღვევის სექტორის ფინანსური სტაბილურობის გაძლიერებას, კოორდინირებულ მოქმედებას კოტენციური კრიზისების პირობებში, გადასხედველთა პროფესიული შესაძლებლობების განვითარებას და ევროკავშირის რეგულაციურ ჩარჩოსთან დაახლოებას.

ინიციატივის ფარგლებში, ყოველწლიურად იმართება სამუშაო შეხვედრები ერთ-ერთ მონაწილე ქვეყანაში და ფოკუსირებულია ისეთ თემატიკაზე, რომელიც დროის და ბაზრის განვითარების თვალსაზრისით ყველაზე აქტუალურია.

XPRIMM 2025 – საქართველოს საერთაშორისო სადაზღვევო კონფერენცია ბათუმში

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო გადასხედველობის სამსახურისა და მედია სააგენტო XPRIMM-ის (PROMOTING THE REINSURANCE & INSURANCE MARKET BY MEDIA) ერთობლივი ორგანიზებით, „საქართველოს საერთაშორისო სადაზღვევო კონფერენცია 2025“ ბათუმში გაიმართა, რომელშიც 18 ქვეყნის 100-ზე მეტმა სტუმარმა მიიღო მონაწილეობა.



კონფერენციაში მონაწილეობდა 18 ქვეყანა: აზერბაიჯანი, ბელგია, ბულგარეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, თურქეთი, მალაიზია, მონტენეგრო, რუმინეთი, სლოვაკეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, შვეიცარია, ჩრდილოეთ მაკედონია, ჩეხეთი.

7 ქვეყნის მაღალი რანგის საზედამხებდველო ორგანოს წარმომადგენელი: აზერბაიჯანი, ესპანეთი, თურქეთი, მონტენეგრო, სლოვაკეთი, ყაზახეთი, ჩრდილოეთ მაკედონია.

მონაწილეები: სადაზღვევო და გადაზღვრის კომპანიები, ბროკერები, ფინანსური ინსტიტუტები, დაზღვევის გადახედველთა საერთაშორისო ასოციაციის (IAIS) და სხვა მარეგულირებელი უწყებების წარმომადგენლები.

კონფერენციის ფარგლებში მონაწილეებმა იმსჯელეს:

- ქართული სადაზღვევო ბაზრის მიმდინარე მდგომარეობასა და განვითარების სტრატეგიაზე;
- მარეგულირებელი გარემოს ცვლილებებსა და საერთაშორისო პრაქტიკასთან ჰარმონიზაციაზე;
- ციფრულ ტრანსფორმაციაზე და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე;
- მომხმარებლის დაცვის გაძლიერებასა და ფინანსური განათლების ხელშეწყობაზე;
- სადაზღვევო სექტორის მდგრადობაზე და ESG სტანდარტების გათვალისწინებაზე.

კონფერენციის ფარგლებში, ჟურნალის „XPRIMM INSURANCE PROFILE GEORGIA FY2024“-ის პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ანალიზსა და საერთაშორისო პარტნიორებისთვის მნიშვნელოვან ანალიტიკურ ინფორმაციას მოიცავდა.

კონკურენცია და მომხმარებლის უფლებების დაცვა – IV საერთაშორისო კონფერენცია

კონკურენციის და მომხმარებლის უფლებების დაცვის საერთაშორისო კონფერენცია დაზღვევის სახელმწიფო გადახედველობის სამსახურის, კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს, ეროვნული ბანკის, სემეპის და კომუნიკაციების კომისიის ერთობლივი ორგანიზებით თბილისში მეოთხედ ჩატარდა.

ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს 20-მდე ქვეყნის კონკურენციის და მომხმარებლის დაცვის უწყების ხელმძღვანელი პირი სტუმრობდა. სამ ღლიან კონფერენციაში მონაწილეობდნენ – WORLD BANK, UNCTAD, OECD, ICN, ICPEN, CONSUMERS INTERNATIONAL წარმომადგენლები.



საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო გადახედველობის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ეკატერინე წერეთელმა მონაწილეობა მიიღო კონფერენციის გახსნით სესიაში. ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით, ჩატარდა 10 პანელური დისკუსია. მათ შორის, 3 საერთაშორისო და 1 საქართველოში კვლევის პრეზენტაცია.

მონაწილეობა განიხილეს:

- კონკურენცია და მომხმარებლის დაცვა სექტორულ ჭრილში – შედეგები, მიღწევები და გამოწვევები;
- კონკურენციის დაცვის პოლიტიკა ეკონომიკის რეგულირებულ სექტორებში, შესაძლებლობები და გამოწვევები;
- ბავშვებისა და მოწყვლადი მომხმარებლების დაცვის თანამედროვე პრაქტიკა, ძირითადი მიმართულებები და გამოწვევები;
- კონსენტრაციების კონტროლი თანამედროვე გლობალური დღის წესრიგის კონტექსტში;
- მომხმარებლის დაცვის მიმდინარე ტენდენციები და გამოწვევები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

კონფერენციის ფარგლებში, ერთ-ერთ პანელურ დისკუსიას მოდერატორმა გაუწია სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ნინო ნიავეძემ და პრეზენტაცია წარადგინა მომხმარებლის უფლებების დაცვისა და ფინანსური განათლების სამმართველოს უფროსმა, მარიამ ნიკოლაძემ.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ: აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების, საბარო უწყებების, აკადემიური და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, 350-მდე დელეგატი, 50-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო სპიკერი.

საერთაშორისო კონფერენცია წარმოადგენს მაღალი დონის საერთაშორისო პლატფორმას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში სამართლიანი კონკურენციის პრინციპების გაძლიერებას და მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვას.

საქართველოს მხარდი როლი საერთაშორისო პლატფორმაზე და პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობა მყარ საფუძველს ქმნის: ქვეყნის სადაზღვევო სექტორის განვითარებისთვის, ინოვაციური მიდგომების დანერგვისთვის, ძლიერი, კონკურენტული და მომხმარებელზე ორიენტირებული ბაზრის ჩამოყალიბებისთვის.

საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატები ხელს უწყობს: ეროვნული საკანონმდებლო და საგადახედველო ჩარჩოს საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას, საქართველოს სადაზღვევო ბაზრის გამჭვირვალობას, სტაბილურობას და საინვესტიციო მიმზიდველობას.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

2025 წელს, სამსახურმა აქტიურად განაგრძო საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, როგორც მრავალმხრივ, ისე ორმხრივ ფორმატში გამართული შეხვედრების ფარგლებში. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო გადახედველობის სამსახური აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო სტანდარტებზე მუშაობის პროცესში – გამოცდილების გაზიარებასა და საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში მოქმედი სამუშაო ჯგუფებისა და კომიტეტების საქმიანობაში. აღნიშნული თანამშრომლობა, ასევე, მოიცავდა ინიციატივების მხარდაჭერას, რაც მიზნად ისახავს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო გადახედველობის სამსახურის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

დაგლვევის გადახედველთა საერთაშორისო ასოციაცია | IAIS

დაგლვევის გადახედველთა საერთაშორისო ასოციაციის კომიტეტების სხდომები, წლიური კონფერენცია და წლიური განმარალური შეხვედრა ტირანაში

2025 წელს, ალბანეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ტირანაში, დაგლვევის გადახედველთა საერთაშორისო ასოციაციის (IAIS) კომიტეტების სხდომები, წლიური კონფერენცია და წლიური განმარალური შეხვედრა გაიმართა.

ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა ასოციაციის ძირითადი და წამყვანი ორგანოების აღმასრულებელი კომიტეტის (ExCo) და იმპლემენტაციის შეფასების კომიტეტის (IAC) შეხვედრები და სამუშაო სესიები, სადაც საქართველოს დაგლვევის სახელმწიფო გადახედვლობის სამსახურის უფროსი დავით ონოფრიშვილი წარმოადგენს ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპის და ამიერკავკასიის რეგიონის ქვეყნებს (CEET).

მონაწილეებმა განიხილეს ასოციაციის მმართველობითი, სტრატეგიული და ფინანსური მიმართულებების ძირითადი საკითხები, მათ შორის: 2024 წლის ორგანიზაციის ფინანსური და საქმიანობის შედეგებთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, მმართველობითი და ორგანიზაციული საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო: ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების განხორციელებას, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას და გლობალური სადაგლვევო გადახედვლობის ერთიანი მიდგომების განვითარებას.

საქართველოს დელეგაციაში შედიოდნენ: საქართველოს დაგლვევის სახელმწიფო გადახედვლობის სამსახურის უფროსი დავით ონოფრიშვილი, სამსახურის უფროსის მოადგილე მაია კუბლაშვილი და საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი ნათია ქვაჩახია.



სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, სამსახურის წარმომადგენლები დაესწრნენ ევროპის დაგლვევისა და პროფესიული საკენსიო უზრუნველყოფის ორგანოს (EIOPA) და ამერიკის შეერთებული შტატების დაგლვევის გადახედველთა ეროვნული ასოციაციის (NAIC) სადაგლვევო დიალოგის პროექტის საჯარო ღონისძიებას, სადაც განხილულ იქნა: ევროპისა და აშშ-ის დაგლვევის გადახედვლობის სამომავლო თანამშრომლობა, კლიმატის რისკები, კიბერუსაფრთხოება, ახალი პროექტი სადაგლვევო სფეროში მომხმარებლების სამართლიანი მოპყრობისა და ოპერაციული გამძლეობის შესახებ.

ღონისძიება წარმოადგენს საერთაშორისო მნიშვნელობის შეხვედრების სერიას, რომელიც აერთიანებს IAIS-ის წევრ იურისდიქციებს და წარმოადგენს გლობალური მნიშვნელობის საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის ფარგლებშიც გლობალური სადაგლვევო გადახედვლობის მიმართულებები და სექტორის განვითარებისთვის კრიტიკული საკითხები განიხილება.

შეხვედრებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა საქართველოს აქტიური ჩართულობა საერთაშორისო სადაგლვევო თანამშრომლობაში და ხელი შეუწყო CEET რეგიონის პოზიციის გაყარებას IAIS-ის გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

დაზღვევის გადახედველთა საერთაშორისო ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის შეხვედრა სინგაპურში

საანგარიშო პერიოდში, სინგაპურის ფულად-საკრედიტო ადმინისტრაციაში, დაზღვევის გადახედველთა საერთაშორისო ასოციაციის (IAIS) აღმასრულებელი კომიტეტის და მაკროპრუდენციული კომიტეტის ერთობლივ სხდომას დაზღვევის სახელმწიფო გადახედველობის სამსახურის უფროსი და დაზღვევის გადახედველთა საერთაშორისო ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი დავით ონოფრიშვილი ესწრებოდა.

სინგაპურში გამართულ სხდომაზე მონაწილეებმა დეტალურად განიხილეს - სადაზღვევო სექტორში მიმდინარე ტენდენციები და სისტემური გამოწვევები, რომლის მიზანია გამოცდილების გაზიარება და ისეთი სადაზღვევო პოლიტიკის ფორმირება, რომელიც გლობალური სადაზღვევო ბაზრის მდგრადობას და სტაბილურობას უზრუნველყოფს. კერძოდ:

- კოლექტიური დისკუსიების პრევენტაციები დაზღვევის სხვადასხვა მიმართულებებით, მონიტორინგის შედეგები და სისტემური რისკები;
- სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის ანალიზი და გლობალური ბაზრის ტენდენციები;
- მაკროპრუდენციული პოლიტიკის განვითარების პერსპექტივები.

დაზღვევის გადახედველთა საერთაშორისო ასოციაციის (IAIS) აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა ციურხეში

შვეიცარიის ქალაქ ციურხეში, დაზღვევის გადახედველთა საერთაშორისო ასოციაციის (IAIS) მაკროპრუდენციული კომიტეტისა და აღმასრულებელი კომიტეტის სტრატეგიული სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელშიც საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო გადახედველობის სამსახურის უფროსმა, დავით ონოფრიშვილმა მიიღო მონაწილეობა.

შეხვედრის ფარგლებში, მონაწილეებმა დეტალურად განიხილეს - ორგანიზაციის სტრატეგიული პრიორიტეტები და 2025–2026 წლის სამოქმედო გეგმა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო - საზოგადოების ინტერესებზე ორიენტირებული მმართველობითი მიდგომების გაძლიერებას და იმ ინსტიტუციურ ცვლილებებს, რომელიც მიზნად ისახავს, 2025-2029 წლების პერიოდში, ორგანიზაციის ეფექტიანობის ზრდას.

დისკუსიების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა - რისკზე დაფუძნებული გადახდისუნარიანობის მოდელზე გადასვლის მეთოდოლოგია, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული გადახედველობითი ჩარჩოს განვითარება და სექტორის წინაშე არსებულ გამოწვევებზე რეაგირების მექანიზმების შემუშავება.

ასევე, შეხვედრაზე დეტალურად იქნა განხილული - მაღალი დონის საერთაშორისო პრინციპები, მათ შორის, სადაზღვევო კავიტალის სტანდარტი (ICS), მომხმარებლის ფართო სექტორის მიმართ სამართლიანი მოპყრობის უზრუნველყოფა, ოპერაციული მდგრადობის გაძლიერება და კლიმატური რისკების გავლენა სადაზღვევო სექტორზე.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები – სამუშაო შეხვედრები შვეიცარიაში

საანგარიშო პერიოდში, სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე ირაკლი თუთარაშვილი და გადახედველობის დეპარტამენტის უფროსი ედვარდ ვახტანგიშვილი სამუშაო ვიზიტით შვეიცარიაში, ქალაქ ბაზელში, იმყოფებოდნენ.

გაფართოებული სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, მონაწილეებმა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე, კერძოდ : IFRS 17-ის (სადაზღვევო ხელშეკრულებები) დანერგვასთან დაკავშირებულ საკითხებზე დეტალურად იმსჯელეს. სამსახურის წარმომადგენლებმა პროფესიულ დისკუსიებში მიიღეს მონაწილეობა, სადაც ყურადღება გამახვილდა: სააღრიცხვო პოლიტიკის საკითხებზე, ანგარიშგების ფორმატების ახალ სტანდარტებთან თავსებადობაზე, საჭირო ანალიტიკური კომპონენტების განახლებაზე და განვითარებაზე.

სამუშაო შეხვედრები ფინანსური სტაბილურობის ინსტიტუტის, დაზღვევის გადახედველთა საერთაშორისო ასოციაციის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ იყო ორგანიზებული.

დაზღვევის გადახედველთა რეგიონული შეხვედრა ლუბლიანაში

სლოვენიის რესპუბლიკის დაზღვევის გადახედველობის სააგენტოს დირექტორის, გორაზდ ჩიბეის მიწვევით, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო გადახედველობის სამსახურის უფროსმა, დავით ონოფრიშვილმა ცენტრალური აღმოსავლეთ ევროპისა და ამიერკავკასიის ქვეყნების (CEET) დაზღვევის გადახედველთა შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.



შეხვედრის მესამე სესიის ფარგლებში, დავით ონოფრიშვილმა პანელურ დისკუსიაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც გადახდისუნარიანობა 1-ის სისტემიდან გადახდისუნარიანობა 2-ის სისტემაზე გადასვლას ეხებოდა.

შეხვედრის მონაწილეებს სამსახურის უფროსმა გადახდისუნარიანობა 2-ის სისტემაზე გადასვლის მიზნით გაწეული საქმიანობა და არსებული გამოწვევები გააცნო, რომელიც გაზრის გომასთან, მომავალი სისტემური ცვლილებების აუსცილებლობასთან, კვალიფიციური კადრების სიმცირესა და ინდუსტრიის მგაობას უკავშირდებოდა.

დაზღვევის გადამხედველთა საერთაშორისო ასოციაცია (IAIS) წარმოადგენს წამყვან გლობალურ ორგანიზაციას, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დაზღვევის გადამხედველ ორგანოებს აერთიანებს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს გლობალური სადაზღვევო სექტორის განვითარებასა და სტაბილურობის უზრუნველყოფაში.

ორგანიზაცია აღმასრულებელ საერთაშორისო სტანდარტებს და პრინციპებს. მის მიერ შემუშავებული ჩარჩოები მოიცავს სადაზღვევო კომპანიების ლიცენზირების, რისკების მართვისა და სადაზღვევო კავშირების მოთხოვნებს, რაც მიზნად ისახავს ფინანსური მდგრადობის გაძლიერებას და სექტორის გადახდისუნარიანობის შენარჩუნებას. ამასთან, ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მომხმარებელთა დაცვის მექანიზმების განვითარებას და გაზარდვს ქვეყნის სტანდარტების გაუმჯობესებას. განსაზღვრავს სისტემური რისკების შეფასების მიდგომებს და ხელს უწყობს საერთაშორისო სადაზღვევო ჯგუფებზე კოორდინირებული გადამხედველობის განხორციელებას. აღნიშნული საქმიანობა უზრუნველყოფს გლობალური ფინანსური სისტემის სტაბილურობას და ამცირებს კრიზისების წარმოშობის რისკს.

2025 წელს, ქვეყნის მიმართ მზარდი ინტერესი და აღნიშნულ მასშტაბურ ღონისძიებებში მონაწილეობა მნიშვნელოვანწილად განაპირობა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო გადამხედველობის სამსახურის უფროსის, დავით ონოფრიშვილის აქტიურმა ჩართულობამ დაზღვევის გადამხედველთა საერთაშორისო ასოციაციის (IAIS) აღმასრულებელ კომიტეტში (ExCo) და იმპლემენტაციის შეფასების კომიტეტში (IAC) წევრის რანგში, სადაც იგი ცენტრალური აღმოსავლეთ ევროპისა და ამიერკავკასიის რეგიონის (CEET) 28 ქვეყანას წარმოადგენს.

აღნიშნული ადასტურებს საქართველოს აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო სადაზღვევო გადამხედველობის პროცესებში. ხელს უწყობს გლობალური სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, რაც ქვეყნის სადაზღვევო სექტორის მდგრადი განვითარების და ეფექტიანი საგადამხედველო ჩარჩოს გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია.

საანგარიშო წლის განმავლობაში, დაზღვევის გადამხედველთა საერთაშორისო ასოციაციის (IAIS) აღმასრულებელი კომიტეტის (ExCo) და იმპლემენტაციის შეფასების კომიტეტის (IAC) მიერ განხორციელებული საქმიანობის მიზნობრიობა და შედეგები:

IAIS-ის აღმასრულებელი კომიტეტი (ExCo)

2025 წელს, აღმასრულებელი კომიტეტის საქმიანობა IAIS-ის მისიის შესრულებაზე იყო მიმართული, რომელიც გლობალური სადაზღვევო სექტორის ფინანსური სტაბილურობის და ეფექტიანი გადამხედველობის ხელშეწყობას ისახავს მიზნად, უზრუნველყოფდა კომიტეტების მუშაობის საერთო სტრატეგიულ მიმართულებას და იღებდა გადაწყვეტილებებს პოლიტიკის შემუშავების პროცესის პრიორიტეტიზაციაზე, რესურსების განაწილებასა და სამუშაო პროგრამების დამტკიცებაზე.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო IAIS-ის ახალი სტრატეგიული გეგმის პრაქტიკულ განხორციელებას და მისი შესრულების მონიტორინგს. განხილული იყო სტრატეგიული მიზნების ოპერაციულ ამოცანებად გარდაქმნა და შესრულების მონიტორინგის ინდიკატორები.

კომიტეტის წევრებმა განიხილეს გლობალურ ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებული საკითხები. მათ შორის:



მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო IAIS-ის შიდა მმართველობისა და ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესებას. მსჯელობა შედგა კომიტეტების სტრუქტურის და მანდატების დახვეწაზე, პასუხისმგებლობების მკაფიო გამოიჯნის, ეფექტური გადაწყვეტილების მიღების, კომიტეტებს შორის უკეთესი კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით, განსაკუთრებით პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელების შეფასებას შორის კავშირის გაძლიერებაზე.

განხილული იყო რესურსების ეფექტიანი გამოყენება, შესაძლებლობების განვითარების დაფინანსება და ტექნიკური მხარდაჭერის პრიორიტეტები, განსაკუთრებით განვითარებადი ბაზრებისა და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების კონტექსტში.

IAIS-ის იმპლემენტაციის შეფასების კომიტეტი (IAC)

2025–2029 წლების სტრატეგიული გეგმის ფარგლებში, კომიტეტი აქტიურად მუშაობდა IAIS-ის სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვის ხარისხის გაუმჯობესებაზე. განხილული იყო წევრ იურისდიქციებში IAIS-ის ძირითადი სტანდარტები, გადამხედველობის საერთო ჩარჩო.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სტანდარტების განხორციელების შეფასების შედეგების კონსოლიდაციას, მათ ანალიზს და მიღებული დასკვნების გამოყენებას შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით.

საანგარიშო პერიოდში, ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა პოლისტიკური ჩარჩოს დანერგვის მონიტორინგი და მიზნობრივ იურისდიქციებში შეფასების შედეგების განხილვა.

შეფასდა სისტემურად მნიშვნელოვანი რისკების მართვის პრაქტიკა და დაიგეგმა ჩარჩოს ეფექტიანი დანერგვისთვის მიმართული ქმედითი ნაბიჯები.

განხილული იყო დაგდებისა და გადაგდების კომპანიების აღდგენისა და რეგოლუციის (RECOVERY AND RESOLUTION) საკითხები IAIS-ის პოლიტიკურ ჩარჩოსთან შესაბამისობის კონტექსტში.

ყურადღება გამახვილდა დაგდების კავიტალის სტანდარტების თვითშეფასების პროცესის მეთოდოლოგიაზე; შეფასების კითხვარის სტრუქტურასა და იმ ხარისხობრივ ელემენტებზე, რომლებიც შემდგომ ეტაპზე იქნება გამოყენებული.

კომიტეტის წევრებმა იმსჯელეს სტანდარტების დანერგვის შეფასების ინსტრუმენტების კოორდინაციაზე და წევრი ქვეყნების მიმართ, რისკზე დაფუძნებული, პროპორციული მიდგომის უზრუნველყოფაზე.

2025 წელს, IAC-ის საქმიანობა კონცენტრირებული იყო საერთაშორისო სადაზღვევო სტანდარტების პრაქტიკული განხორციელების ხარისხის გაძლიერებაზე, შეფასების მექანიზმების დახვეწაზე და IAIS-ის სტრატეგიული მიზნების მხარდაჭერაზე. კომიტეტის მუშაობა შექმნა მყარი საფუძველი – 2026 წლიდან იმპლემენტაციის შეფასების კიდევ უფრო ღრმა და სისტემური ეტაპის დასაწყებად.

CESEE ISI – ცენტრალური აღმოსავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის სადაზღვევო გედამხედველების ინიციატივის შეხვედრა უნგრეთში

2025 წელს, ცენტრალური, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სადაზღვევო გედამხედველების ინიციატივის (CESEE ISI) 23-ე შეხვედრა უნგრეთში გაიმართა, რომელსაც საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო გედამხედველობის სამსახურის უფროსი დავით ონოფრიშვილი და ამავე სამსახურის, გედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი ედვარდ ვახტანგიშვილი ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე რეგიონის ქვეყნების წარმომადგენლებმა განიხილეს – სადაზღვევო ბაზრისთვის აქტუალური თემები, როგორიცაა საკუთარი რისკისა და გადახდისუნარიანობის შეფასება (ORSA), IFRS 17-ის იმპლემენტაციის გამოწვევები, კრიზით აქტივებში ინვესტიციებთან დაკავშირებული რისკები და ინოვაციური გედამხედველობის მიდგომები.

შეხვედრის მთავარ მიზანს წარმოადგენდა: მიმდინარე საგედამხედველო პრაქტიკის ანალიზი, ბაზრის გაძლიერების მექანიზმების შემუშავება და მომხმარებლის დაცვის ეფექტიანი ინსტრუმენტების დანერგვა.

საპენსიო გედამხედველთა საერთაშორისო ასოციაცია | IOPS

IOPS-ის მიერ ორგანიზებული გლობალური საპენსიო ფორუმი სტამბულში

2025 წელს, საპენსიო გედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციასთან (IOPS) თანამშრომლობა აქტიურ ფორმატში გაგრძელდა. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო გედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილემ, მაია კუბლაშვილმა და ლიცენზირებისა და რეგისტრაციის სამმართველოს უფროსმა, ეთერ პაპიაშვილმა, თურქეთში, ქალაქ სტამბულში, გლობალურ საპენსიო ფორუმში „The 2025 Global Forum on Private Pensions“ მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიება IOPS-თან ერთად ორგანიზებული იყო – ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD), თურქეთის დაზღვევის და საპენსიო გედამხედველობის ორგანოს და საპენსიო მონიტორინგის ცენტრის მიერ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: მარეგულირებელი და საგედამხედველო ორგანოების მაღალი რანგის წარმომადგენლები, საპენსიო ფონდების და კვლევითი ინსტიტუტების წამყვანი ექსპერტები.

ფორუმის ფარგლებში, IOPS-ის ტექნიკური კომიტეტის შეხვედრები და ყოველწლიური საერთო კრება გაიმართა, სადაც სახელმძღვანელო პრინციპების საბოლოო ცვლილებები, მათი დანერგვის და აღსრულების მექანიზმები განიხილეს.

დისკუსიების ძირითადი თემები მოიცავდა:

- პენსიების გაციფრულებას
- აქტივებით უზრუნველყოფილი საპენსიო სისტემის განვითარების ტენდენციებს
- პენსიის გადახდის გადამხედველობას
- სასიცოცხლო ციკლის სტრატეგიების განხორციელებას
- ნებაყოფლობით პენსიებში მონაწილეობის ხელშეწყობას
- საპენსიო ფონდის როლს კაპიტალის ბაზრების გაძლიერებაში.

IOPS-ის და OECD-ის ეგიდით გაიმართული საფინანსო ბაზრების კვირეული პარიზში

საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში, საპენსიო გადამხედველთა საერთაშორისო ორგანიზაციის (IOPS) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ეგიდით საფინანსო ბაზრების კვირეული (Financial Markets Week) გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო გადამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე, ეკატერინე წერეთელია და ლიცენზირებისა და რეგისტრაციის სამმართველოს უფროსმა, ეთერ კაკიაშვილმა.

ღონისძიების ფარგლებში, IOPS-ისა და OECD-ის წევრი ქვეყნების დელეგატებმა განიხილეს: მარეგულირებელი და საგადახედველო საპენსიო ლანდშაფტის ბოლოდროინდელი ცვლილებები, IOPS-ის სახელმძღვანელო პრინციპები და მათი შემდგომი განვითარების მექანიზმები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო: საპენსიო სისტემების რეგულირების და გადამხედველობის პრაქტიკას, საპენსიო ფონდების მართვის და რისკების შეფასების საკითხებს, ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებზე გადამხედველობას და ალტერნატიული საინვესტიციო შესაძლებლობების განხილვას.

ამერიკის შეერთებული შტატების დაზღვევის გადამხედველთა ეროვნული ასოციაცია|NAIC

ამერიკის შეერთებული შტატების დაზღვევის გადამხედველთა ეროვნული ასოციაციის (NAIC) საერთაშორისო წლიური სადაზღვევო ფორუმი ვაშინგტონში (აშშ) გაიმართა, რომელსაც საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო გადამხედველობის სამსახურის უფროსი დავით ონოფრიშვილი და სამსახურის უფროსის მოადგილე ეკატერინე წერეთელი ესწრებოდნენ.

საერთაშორისო სადაზღვევო ფორუმს მასპინძლობას უწევდა ჩრდილოეთ დაკობას შტატის სადაზღვევო დეპარტამენტის კომისიონარი და NAIC-ის პრეზიდენტი, ჯონ გოდფრიდი. ფორუმის ფარგლებში, მონაწილეებმა განიხილეს:

- თანამედროვე სადაზღვევო სექტორის წინაშე მდგარი გამოწვევები და განვითარების ტენდენციები;
 - ხელშეწყობის ინტელექტუალური გავლენა სადაზღვევო ინდუსტრიაზე;
 - კლიმატური რისკები და მდგრადობის მუქარები;
 - ალტერნატიული ინვესტიციების როლი მზარდი საკროცენტო განაკვეთების პირობებში;
 - ინოვაციები და პროდუქტების ხელმისაწვდომობა განვითარებად ბაზრებზე;
 - დემოგრაფიული ცვლილებების გავლენა ჯანმრთელობისა და სავაჭრო დაზღვევის სფეროებზე.
- აღსანიშნავია, რომ NAIC-ს გააჩნია პრესტიჟული საერთაშორისო სტივენდიანტების პროგრამა, რომელშიც, მისი არსებობის 20 წლის მანძილზე, საქართველოს წარმომადგენელმა პირველად მიიღო მონაწილეობა.

კერძოდ, სამსახურის რეგულაციებისა და ევროკავშირის სამართალთან დაახლოების სამართლებრივ მთავარმა სპეციალისტმა, ასევე გუბერატორმა ხუთკვირიანი სამუშაო პრაქტიკა გაიარა აშშ-ის დაზღვევის სახელმწიფო დეპარტამენტში - კარტფორდში (კონექტიკუტის შტატი) და ასევე, მონაწილეობდა დასკვნით შეხვედრაში NAIC-ის კავიტალის ბაზრებისა და ინვესტიციების ანალიზის ოფისში - ნიუ-იორკში.

აღსანიშნავია, რომ პროგრამას ხელმძღვანელობდა ენდრიუ მეისი - კონექტიკუტის შტატის დაზღვევის დეპარტამენტის კომისიონარი, რომელიც ამავე დროს იყო NAIC-ის პრეზიდენტი.



ორხრივი თანამშრომლობის გაღრმავება სხვა ქვეყნების კოლეგა უწყებებთან

ავსტრიის საფინანსო ბაზრის საგადახედველო უწყებასთან (FMA) თანამშრომლობა

ავსტრიის საფინანსო ბაზრის საგადახედველო უწყების (FMA) დაზღვევისა და სავაჭრო გეგმათმართვის მიმართულების მმართველი დირექტორის, კეტერ ბრაუნშულერის მიწვევით, სამსახურის უფროსი დავით თნოფრიშვილი, პირველ მოადგილესთან ირაკლი თუთარაშვილთან და სამსახურის დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად, ავსტრიის ქალაქ ვენაში, სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა.

სამუშაო ვიზიტი მიზნად ისახავდა : ინსტიტუციური თანამშრომლობის გაღრმავებას და დაზღვევის გედამხედველობის მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას. FMA-ს წარმომადგენლებთან შეხვედრები ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა და პრაქტიკულ, თემატურ დისკუსიებს და პრეზენტაციებს მოიცავდა.

მონაწილეებმა ორმხრივ დონეზე მიმოიხილეს:

- ადგილზე ინსპექტირების სპეციფიკა;
- საგედამხედველო ანგარიშგებების წარდგენა და მათი შემდგომი დამუშავება;
- ჯგუფის დონეზე გედამხედველობის მექანიზმები;
- ბაზარზე გედამხედველობის ინსტრუმენტები და საჩივრის განხილვის პროცედურები;
- ღირს გადამწყვეტის ალტერნატიული საშუალებები;
- მგლველის ლიკვიდაციის, გაკოტრების, დაშლის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, განხილულ იქნა უწყებებს შორის მიმდინარე თანამშრომლობის პროცესი და სამომავლო გეგმები.

გარდა ამისა, სამსახურმა მონაწილეობა მიიღო ავსტრიის საფინანსო ბაზრის საგედამხედველო უწყების (FMA) ორგანიზებით გამართულ სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპისა და ამიერკავკასიის ქვეყნების (SEET) დაზღვევის გედამხედველთა მაღალი დონის შეხვედრაში. სადაც, დავით ონოფრიშვილი პრეზენტაციით წარსდგა სესიასა და შეხვედრის მონაწილეებს, ბოლო წლებში, საქართველოს ეკონომიკის მზარდი და სტაბილური პარამეტრების მაჩვენებლები, სადაზღვევო ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები და თავისებურებები გააცნო.



მოდერატორის რანგში, დავით ონოფრიშვილი წარუძღვა მეოთხე სესიას, რომელის დაზღვევის გედამხედველი უწყებების წინაშე არსებულ გამოწვევებს, ინსტიტუციონალურ გაძლიერებას, დასაქმების და სწავლების შესაძლებლობებს ეხებოდა. ავსტრიის დედაქალაქ ვენაში სამუშაო ვიზიტით, ასევე, იმყოფებოდა სამსახურის რეგულაციებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, თამარ შენგელია.

საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობა

სამსახურმა მონაწილეობა მიიღო დაგდვევის გედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციის (IAIS) და მსოფლიო ბანკის ერთობლივ კვლევებში ბუნებრივი კატასტროფების (NatCat) დაგდვევის დაცვის ანალიზის მიმართულებით. კვლევა მიზნად ისახავდა ხარვეზების და გამონვრების შეფასებას, განსაკუთრებით მოწყვლადი რეგიონების და განვითარებადი ეკონომიკების (EMDE) კონტექსტში. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება G20 (20 უდიდესი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ჯგუფი) მდგრადი ფინანსების სამუშაო ჯგუფის მომზადებულ მასალებში და მსოფლიო ბანკის ანგარიშში.

საანგარიშო პერიოდში, სამსახური მონაწილეობდა დაგდვევის გედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციის (IAIS) ფარგლებში დაგეგმილ – 2025 წლის გლობალური მონიტორინგის პროცესში, რომლის დროსაც შეფასდა სექტორული მონიტორინგის (SECTOR-WIDE MONITORING) შედეგები. აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენდა სადაგდვევო სექტორში ძირითადი რისკების და ტენდენციების იდენტიფიცირება. შეფასების შედეგად IAIS თითოეული მონაწილე იურისდიქციისთვის ანგარიშს ამაზდა, რომელიც ქვეყნის სადაგდვევო სექტორის რისკებისა და ტენდენციების ანალიზს უზრუნველყოფს.

სამსახური დაგდვევის ძირითადი პრინციპების (ICPs) შესაბამისობის თვითშეფასების პროგრამაში მონაწილეობას აგრძელებს, რომელიც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან არის დაკავშირებული. 2025 წელს, განხორციელდა ICP 13 – REINSURANCE AND OTHER FORMS OF RISK TRANSFER-ის პრინციპის თვითშეფასება, რომლის მიხედვითაც საქართველოს შეფასება განისაზღვრა როგორც „დიდწილად შესაბამისი“.

დაგდვევის გედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციის (IAIS) აღმასრულებელი კომიტეტის (ExCo) ეგიდით, სამსახური ინოვაციური პლატფორმა „Treehouse“ მიერ განხორციელებულ საკონსულტაციო კვლევებში ჩაერთო, რომელიც მიზნად ისახავდა: IAIS-ის საქმიანობის და პროდუქციის ეფექტიანობის შეფასებას, წევრი ორგანოების გამოცდილების და საჭიროებების შესწავლას, წევრთა ჩართულობის გაძლიერებას, რაც IAIS-ის, 2025-2029 წლების, სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს.

საკენსიო გედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციასთან (IOPS) თანამშრომლობის ფარგლებში, სამსახურის წარმომადგენლები ჩართულნი იყვნენ – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და მსოფლიო ბანკის მიერ ინიცირებულ კვლევებში, რომლის მიზანი იყო 2024 წლის საკენსიო სექტორის წინასწარი სტატისტიკური მონაცემების შეგროვება.

მომხმარებლის უფლებების დაცვის მექანიზმები

„დაგდვევის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა – მომხმარებლის უფლებების დაცვა და სამართლიანი, გამჭვირვალე, კეთილსინდისიერი სადაგდვევო ურთიერთობების უზრუნველყოფა. აღნიშნული მიმართულება მომხმარებელზე ორიენტირებულ პოლიტიკას და მონაცემებზე დაფუძნებულ ანალიზს ეფუძნება, რაც საშუალებას იძლევა, როგორც ბაზრის ტენდენციები, ისე სისტემური გამონვრებები ყოველდღიურ რეჟიმში შეფასდეს.

მომართვიანობის დინამიკა და შედეგები

მომართვიანობის დინამიკა ასახავს: მომხმარებლის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, ცნობიერების ამაღლებას, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის გაძლიერებას და მიუთითებს, რომ მომხმარებლები კანონით გათვალისწინებული დაცვის მექანიზმებს უფრო აქტიურად იყენებენ და დარღვევის შემთხვევაში იცნავენ მის მიმართ, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა სადაზღვევო ბაზრის გამჭვირვალობის და სამართლიანი პრაქტიკის დანერგვის მიმართულებით.

2025 წელს, 2024 წელთან შედარებით, მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით მიმართვიანობა 60.3%-ით გაიზარდა.

საანგარიშო პერიოდში, მომხმარებლების განცხადებებისა და პრეტენზიების შესახებ ანგარიშგებების განხილვის ფარგლებში, სხვადასხვა ტიპის დარღვევები გამოვლინდა და მათი სიმძიმის მიხედვით შესაბამისი სახის სანქციების გამოყენება განხორციელდა.

სადაზღვევო სექტორში ეთიკის ზოგადი პრინციპები და პროფესიული ქცევის მინიმალური სტანდარტები

მომხმარებლის უფლებების დაცვის სისტემური გაძლიერების მიზნით, 2025 წელს, „მგლველში ეთიკის ზოგადი პრინციპებისა და პროფესიული ქცევის მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ კანონმდებლარმა ნორმატიული აქტი გამოიცა.

დოკუმენტი ეფუძნება განვითარებული ეკონომიკების საუკეთესო პრაქტიკას და პროფესიული ქცევის აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებს. ასევე, ითვალისწინებს ადგილობრივი სადაზღვევო ბაზრის სპეციფიკას და მომხმარებლის უფლებების დაცვის პრიორიტეტულ საკითხებს.

ნორმატიული აქტის მიზანია მგლველებში ეთიკური მმართველობის და პროფესიული ქცევის ერთიანი მინიმალური სტანდარტის დამკვიდრება და უზრუნველყოფა. კერძოდ:

- მომხმარებლის უფლებების და ინტერესების დაცვა;
- საზოგადოების ნდობის გაძლიერება;
- სადაზღვევო ორგანიზაციების რეპუტაციული ხაზის განმტკიცება;
- გამჭვირვალე, სამართლიანი და კეთილსინდისიერი საქმიანობის ხელშეწყობა;
- სექტორის სტაბილური და ეფექტიანი ფუნქციონირება.

კანონმდებლარმა ნორმატიული აქტი განსაზღვრავს ეთიკის ზოგად პრინციპებს და პროფესიული ქცევის მინიმალურ სტანდარტებს, რომლითაც მგლვეელი ვალდებულია სადაზღვევო საქმიანობის ყველა ეტაპზე იხელმძღვანელოს.

კანონმდებლობა ნორმატიული აქტის შესაბამისად, მდგომარეობა ვალდებულია:

- მომხმარებელზე ორიენტირებული, სამართლიანი და გამჭვირვალე მომსახურება უზრუნველყოს;
- კეთილსინდისიერად, გულსხმიერად და მომხმარებლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედოს;
- დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპის სრული დაცვით, თანასწორი მოპყრობა უზრუნველყოს. დაიცვას სამართლიანობის პრინციპები და რაიმე ნიშნით ერთი მომხმარებლის ინტერესებს, მეორესთან შედარებით, უპირატესობა არ მიანიჭოს;
- ხელოვნური ინტელექტისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებისას, დაიცვას ეთიკის პრინციპები;
- ინფორმირებული არჩევანის უზრუნველსაყოფად, მომხმარებელს სრული, გასაგები და უტყუარი ინფორმაცია მიაწოდოს;
- მომხმარებლის საჭიროებები, მიზნები, მოთხოვნები შეაფასოს და შესაბამისი პროდუქტის შემთავაზება ღიადა და გასაგები ფორმით უზრუნველყოს;
- დაიცვას პერსონალური მონაცემების და კონფიდენციალური ინფორმაციის უსაფრთხოება;
- დაიცვას მომხმარებლის ან/და ყოფილი მომხმარებლის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის/პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ არსებობს მომხმარებლის თანხმობა ან/და მათი გამჟღავნება ნებადართულია კანონმდებლობით;
- სადაზღვევო შემთხვევების და პრეტენზიების განხილვა წარმართოს დროულად, ეფექტიანად და გამჭვირვალედ, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით.

საქართველოში ლიცენზირებულ ყველა სადაზღვევო ორგანიზაციას, ასევე, დაევა:

- შეიმუშაოს და დაიცვას – ეთიკის ზოგადი პრინციპები და პროფესიული ქცევის კოდექსი დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- უზრუნველყოს – კოდექსის გაცნობა ყველა თანამშრომლისთვის;
- დანერგოს – კოდექსის მოთხოვნები სადაზღვევო ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობაში და შიდა კონტროლის მექანიზმები კოდექსის ეფექტიანი აღსრულების უზრუნველსაყოფად.

ეთიკის სტანდარტების პრაქტიკული დანერგვის მიზნით, სამსახურმა გამოსცა – **სადაზღვევო საქმეებში ეთიკის ზოგადი პრინციპების და პროფესიული ქცევის მინიმალური სტანდარტების სახელმძღვანელო**. დოკუმენტი მოიცავს როგორც ეროვნულ პრაქტიკას, ისე საერთაშორისო გამოცდილებას, ევროკავშირის რეგულაციებს, დაზღვევის გადამხდელთა საერთაშორისო ასოციაციის (IAIS) ხელშეშვას ეთიკისა და კორპორაციული კულტურის შესახებ.

სადაზღვევო ურთიერთობებში მფლობელი ვალდებულია

- მომხმარებელს მიაწოდოს სადაზღვევო პირობების შესახებ სრული და ამომწურავი ინფორმაცია
- უზრუნველყოს მომხმარებლისთვის დაზღვევის პირობებთან უფასო და მარტივი წვდომა
- შეისწავლოს მომხმარებლის პრეტენზია გონივრულ ვადაში (არაუმეტეს 30 კალენდარული დღისა) და აცნობოს შედეგები
- უზრუნველყოს სადაზღვევო ორგანიზაციის მიმართ წარდგენილი პრეტენზიის განხილვის პროცედურაზე ხელმისაწვდომობა

სადაზღვევო ორგანიზაციასთან დავის შემთხვევაში მომხმარებელს შეუძლია მიმართოს

- **სადაზღვევო ორგანიზაციის პრეტენზიების მართვის სამსახურს.** მფლობელს შეუძლია დააკმაყოფილოს მოთხოვნა სრულად, ნაწილობრივ ან გადაწყვეტილება უცვლელად დატოვოს. მომსახურება უფასოა.
- **დაზღვევის მედიაციას** მფლობელთან მორიგების მიზნით, რომელიც დავას არ განიხილავს, თუმცა მისი ჩართულობით შესაძლებელია მფლობელთან მორიგება. მომსახურება უფასოა.
- **საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო რეგულაციების სამსახურს**, რომელიც სიღრმისეულად განიხილავს განცხადებას მფლობელის მიერ მომხმარებლის უფლების დაცულობასთან დაკავშირებით და გასცემს რეკომენდაციებს. მომსახურება უფასოა.
- **საქართველოს საერთო სასამართლოს**, რომელიც დავებს განიხილავს.

მომხმარებლის დაცვის ეროვნული სტრატეგია

მომხმარებლის უფლებების დაცვის პირველი ეროვნული სტრატეგია არის საქართველოს მთავრობის მიერ მხარდაჭერილი, მოიცავს 2024-2027 წლებს და საქართველოში მოქმედი ექვსი მარეგულირებელი უწყების კოორდინირებულ საქმიანობას აერთიანებს.

სტრატეგიის მიზანია – ეროვნულ დონეზე, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად, მომხმარებლის ინდივიდუალური და ჯგუფური ინტერესების თანაბარი, სისტემური დაცვა. ასევე, სექტორში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და მათზე დროული რეაგირება.

სტრატეგია ეფუძნება: კოორდინირებული საქმიანობის პრინციპს, ინსტიტუციური თანამშრომლობის გაძლიერებას, რომლის ფარგლებშიც მარეგულირებელი ორგანოები შეთანხმებული ხედვითა და თანმიმდევრული აქტივობებით, ქვეყნის მასშტაბით, მომხმარებლის უფლებების ეფექტიან დაცვას უზრუნველყოფენ.

2025 წელს, სტრატეგიით გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში, დაგეგმილი ღონისძიებები 100%-ით შესრულდა

აქტივობები მოიცავდა

- მომხმარებლის უფლებების სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესებას
- სამომხმარებლო განათლების და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს
- საინფორმაციო-საგანმანათლებლო დოკუმენტების მომზადება-განახლებას
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას და საუკეთესო პრაქტიკის გავრცელებას
- როგორც ცენტრალურ დონეზე (თბილისში) ჩატარებულ ღონისძიებებს, ასევე რეგიონებში განხორციელებულ საინფორმაციო შეხვედრებს

2025 წლის დასასრულს, სტრატეგიის მმართველმა კომიტეტმა მიღებული შედეგები შეაჯამა, მიმდინარე ტენდენციები, არსებული გამოწვევები განიხილა და დაამტკიცა 2026 წლის სამოქმედო გეგმა

განსაზღვრა საჭიროებები, პრიორიტეტები, მიიღე ინფორმირებული გადაწყვეტილება და დააგეგმა შენი მომავალი

ნებაყოფლობითი დაგეგმვის შემთხვევაში, სადაგეგვრო პირობები, რისკები, გამოწვევები, განხორციელების წესი განისაზღვრება მომხმარებელსა და მფლობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით (დაგეგმვის პოლისით). შესაბამისად:

- სადაგეგვრო პოლისის შემენამდე – დასვი შეკითხვები და მიიღე პასუხები
- მფლობელის მიერ მოწოდებულ ყველა დოკუმენტს – დაკვირვებით გაეცანი
- გაარკვიე დეტალურად რა არ ექვემდებარება ანაზღაურებას – გაეცანი „გამონაკლისებს“

მომხმარებლის უფლებაა მოითხოვოს და მიიღოს

- ხელშეკრულების დადებამდე – დაგეგმვის პირობების შესახებ დეტალური, გუსტი და არადაზიანებელი ინფორმაცია.
- „ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები“, სადაც მითითებულია სადაგეგვრო პროდუქტის შესახებ ძირითადი ინფორმაცია და ყველა ის დოკუმენტი, რომლისგანაც შედგება ხელშეკრულება.
- სადაგეგვრო პროდუქტის შესახებ „საინფორმაციო ფურცელი“.
- მფლობელის მხრიდან შეცვლილი/განახლებული პირობების შესახებ განმარტება/ინფორმაცია.
- გონივრულ ვადაში, ყოველგვარი დამატებითი გადასახადის გარეშე, მატერიალური ფორმით, დაგეგმვის პირობებთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტი.

დაგღვევის შეძენა შესაძლებელია

- სადაგღვემო ორგანიზაციაში
- დაგღვევის აგენტთან
- სადაგღვემო ბროკერთან

სადაგღვემო კომპანიაში, პოლისების რეალიზაციისთვის აქტიურად იყენებენ თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს, რომლის მეშვეობით პოლისის შეძენა შესაძლებელია

- ინტერნეტით – გღვევლის ვებ-გვერდიდან
- მობილური აპლიკაციების მეშვეობით
- სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით
- ფეისბუქ ჩატ-ბოტის მეშვეობით

დაგღვევა მომხმარებელს იცავს გაუთვალისწინებელი ხარჯებისგან და მოულოდნელი რისკებისგან!

ფინანსური განათლების ხელშეწყობა და დაგღვევის კულტურის გაძლიერება

დაგღვევის სახელმწიფო გადამხედველობის სამსახურის გადაწყვეტილებით, 2 მაისი – დაგღვევის დღედ გამოცხადდა და 2025 წელს, კვირეულის ფორმატში, საქართველოში უკვე მეოთხედ აღინიშნა. სამსახურის წარმომადგენლების მონაწილეობით, აქტივობები ჩატარდა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

2 მაისს გამართულ ღონისძიებაზე, დაგღვევის სახელმწიფო გადამხედველობის სამსახურის უფროსმა, დავით ონოფრიშვილმა ყურადღება გაამახვილა ისეთ პრიორიტეტულ საკითხებზე, როგორიც არის : დაგღვევის შესახებ ცნობიერების ამაღლება, დაგღვევის პოპულარიზაციის მხარდაჭერა და მოქალაქეებისთვის მათი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.



თბილისში გამართულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი **მიხეილ საჩავაძე**; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი **დავით სონღულაშვილი**; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე **ირაკლი ნადარეიშვილი**; პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე **შოთა ბერეკაშვილი**; ეროვნული ბანკის პრეზიდენტი **ნათია თურნავა** და კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარე **ირაკლი ლეჟინაძე**.

ღონისძიების ფარგლებში, სადაზღვევო ორგანიზაციების: სს „სადაზღვევო კომპანია ალდავის“ სს „ბბ დაზღვევის“, დაზღვევის კავშირის, სავალდებულო დაზღვევის ცენტრის, შპს „დაზღვევისა და გადაზღვევის ბროკერი გრეკო ჯორჯიას“ მონაწილეობით პანელური დისკუსია გაიმართა.

რეგიონული სამუშაო შეხვედრები ქუთაისში

სამსახურის წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს ანდრია რაგმაძის სახელობის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებთან.


სტუდენტებთან გამართულ შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დაზღვევის მნიშვნელობას თანამედროვე ეკონომიკურ გარემოში. მონაწილეებმა ინფორმაცია მიიღეს, თუ როგორ იცავს დაზღვევა ადამიანის ფინანსურ ინტერესებს, ამცირებს რისკებს და უზრუნველყოფს სტაბილურობას, როგორც პირადი, ისე ბიზნეს საქმიანობის დონეზე.



შეხვედრის ფარგლებში, განხილული იყო: აქტუარის როლი, დაზღვევის ძირითადი ტიპები, ბაზრის სტრუქტურა და გელდამხედველობის მექანიზმები. ასევე, დაზღვევის სფეროში კარიერული შესაძლებლობები, პროფესიული განვითარება და ფინანსური განათლების მნიშვნელობა. შეხვედრაზე ხელი შეუწყო ახალგაზრდებში დაზღვევის კულტურის გაძლიერებას და მათ მოტივაციას, აქტიურად ჩაერთონ ფინანსურ და სადაზღვევო სფეროში მიმდინარე პროცესებში.

საინფორმაციო კამპანია „თუ მომავალი დაგღვებუღია“

დაზღვევის დღის ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების პორტალის და სადაზღვევო ორგანიზაციების მხარდაჭერით, სამსახურმა ჩაატარა პოსტერების კონკურსი, თემაზე „თუ მომავალი დაგღვებუღია“, რომელიც დაზღვევის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ისახავდა მიზნად.



გამარჯვებულები ორ კატეგორიაში გამოვლინდნენ: „მომხმარებლის რჩეული“ და „სადაზღვევო კომპანიის რჩეული“. კონკურსი მხარდაჭერილი იყო: სს ბაზისბანკის, სს ვაიზერის (ვსვ დაზღვევა), სს სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯიას, სს სადაზღვევო კომპანია იმედი ელის, სს სადაზღვევო კომპანია ალდაგის, სს რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტ ჯორჯიას მიერ.

ონლაინ ფორმატში გამართული სამუშაო შეხვედრები

კვირეულის განმავლობაში, საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების პლატფორმაზე (www.finedu.gov.ge) და სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.insurance.gov.ge) პირდაპირი ჩართვები განხორციელდა, სადაც განხილული იყო:

ნებაყოფლობითი
საკენსიო სისტემა

ავტოდაზღვევის
დაფარვები

მესამე პირის მიმართ
პასუხისმგებლობის დაზღვევა

ჯანმრთელობის დაზღვევის
კონტრაქტი – მედლის ორი მხარე

მომხმარებლის უფლებები
და მარეგულირებლები

დაზღვევის დღის კამპანიის ფარგლებში, მომგადდა და ფინედუს ვებ-გვერდზე განთავსდა დაზღვევასთან დაკავშირებული სხვადასხვა მასალები. მათ შორის, ბროშურები – მითები და ფაქტები, დაზღვევის განტოლება, დაზღვევის რჩევები. საქართველოს ეროვნული ბანკის ჩართულობით და GERMAN SPARKASSEN-STIFTUNG-ის (DSIK) მხარდაჭერით შემუშავებული ვიდეო რგოლები.

დაზღვევის დღის კვირეულის ჩატარების ძირითად მიზანს წარმოადგენდა – საზოგადოებაში ფინანსური და სადაზღვევო განათლების გაძლიერება, დაზღვევის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფების ჩართულობის სტიმულირება და პრაქტიკული, საჭირო ცოდნის მიწოდება ისეთ საკითხებზე, როგორიც არის აქტუარის როლი, სადაზღვევო პროდუქტი, ბაზრის სტრუქტურა და მომხმარებლის უფლებები.

მომხმარებლის დაცვის III საერთაშორისო კვირეული

დაზღვევის სახელმწიფო გადახედველობის სამსახურის, კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს, სემეპის, საქართველოს ეროვნული ბანკის, კომუნიკაციების კომისიის და სურსათის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, 2025 წლის 10-15 მარტს, მომხმარებლის დაცვის III საერთაშორისო კვირეული გაიმართა.

ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო გადახედველობის სამსახურის უფროსმა, დავით ონოფრიშვილმა და მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით დაზღვევის სექტორში განხორციელებულ მნიშვნელოვან აქტივობებზე, მიღებულ შედეგებზე, არსებულ გამოწვევებსა და სამომავლოდ დაგეგმილ ღონისძიებებზე ისაუბრა.

სამსახურის უფროსმა ყურადღება გაამახვილა: დაზღვევის სექტორის მზარდ დინამიკაზე, ფინანსური განათლების გაძლიერების მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებზე, მომხმარებლის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებაზე. მათ შორის, სამოგზაურო დაზღვევის მიმართ დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებზე. ასევე, „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ ახალ კანონზე და საერთაშორისო დონეზე პარტნიორობებთან თანამშრომლობის ფორმატებზე.

ცნობიერების ამაღლება მიზნობრივი ჯგუფების მონაწილეობით

მომხმარებლებთან საგუშაო-საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა: თბილისში, ახალქალაქში, გუგუდისა და ბათუმში. პანელური დისკუსიის ფორმატში, ექვსი მარეგულირებელი უწყების წარმომადგენელმა, მომხმარებლებთან შეხვედრისას, დეტალურად მიმოიხილა მათთვის მნიშვნელოვანი და საჭირო ინფორმაცია – თუ როგორ უნდა დაიცვან საკუთარი უფლებები, დარღვევის შემთხვევაში ვის მიმართონ და რა ფორმით.

კვირეულის ფარგლებში მონაწილეობდნენ: მარეგულირებელი უწყებების წარმომადგენლები, პარლამენტის, ცენტრალური და რეგიონული მთავრობის წევრები, საერთაშორისო ორგანიზაციების, საქართველოს ყრუთა კავშირის და უსინათლოთა კავშირის წევრები, ეთნიკური უმცირესობების, ბიზნესის, აკადემიური და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.



თბილისსა და რეგიონებში დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში, სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, ნინო ნიაზაძე და ლიცენზირებისა და რეგისტრაციის სამმართველოს უფროსი, ეთერ პაპიაშვილი მოხსენებებით წარსდგნენ.



ღონისძიების ფარგლებში, შეგუშავდა ბრაილის შრიფტით მომზადებული საინფორმაციო ბროშურები და შესტურ ენაზე ადაპტირებული ვიდეომასალა, რომელთა გავრცელება წლის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა. აღნიშნული ინიციატივა ემსახურება ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და ინკლუზიური გარემოს გაძლიერებას, რაც მომხმარებლის უფლებების დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს – თანასწორობის პრინციპის პრაქტიკულ რეალიზაციას და სადაზღვევო სფეროში მომსახურების ხელმისაწვდომობის სტანდარტების გაძლიერებას.

ადგილობრივ დონეზე განხორციელებული აქტივობები

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო გადასხედველობის სამსახურის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა საქართველოს პარლამენტში

საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში, დაზღვევის სახელმწიფო გადასხედველობის სამსახურის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა გაიმართა. საბჭოს წევრებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო გადასხედველობის სამსახურის უფროსმა, დავით ონოფრიშვილმა სადაზღვევო სექტორის 2024 წლის ანგარიში, 2025 წლის 5 თვის შედეგები და სამსახურის 2025-2029 წლების განვითარების სტრატეგია გააცნო.



წარდგენილი ანგარიშის ფარგლებში, ყურადღება გამახვილდა: სექტორის ფინანსურ მდგრადობაზე, გადახდისუნარიანობის მაჩვენებლების დინამიკაზე, მომხმარებლის უფლებების დაცვის მექანიზმების გაძლიერებაზე. ასევე, საგადახდელო პრაქტიკის დახვეწასა და რეგულირების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებაზე.

2025–2029 წლების სტრატეგია ითვალისწინებს სამსახურისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებს, მათ შორის, ინსტიტუციური განვითარების, რისკზე დაფუძნებული გადახედვლობის და ფინანსური განათლების გაძლიერების საკითხებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, პაატა კვიშინაძე, საბჭოს წევრები: ფინანსთა მინისტრი, ლაშა ხუციშვილი; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი, დავით სონღულაშვილი; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, მიხეილ სარჯველაძე; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, ირაკლი ნადარეიშვილი; ბიზნეს ასოციაციის პრეზიდენტი, სამსონ ფხაკაძე და დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი, ელგუჯა მელაძე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, 2025 წელს, სამსახურის თანამშრომლებისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხზე სამუშაო შეხვედრები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობდა.

შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა – რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და შემცირება. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. – პრაქტიკულ და უწყებრივ საქმიანობაზე მორგებული თემების განხილვა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვა

2025 წელს, სამსახურში დაიწყო ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა, რომელიც ითვალისწინებს „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, შესაბამისი ქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და საერთაშორისო ISO/IEC 27001 სტანდარტის მოთხოვნებს. შესაბამისად, ინფორმაციის მაღალი სტანდარტის დაცვა ხელს შეუწყობს, შეამციროს არასანქცირებული წვდომა, ინფორმაციის გაჟონვა, დაკარგვა, IT სისტემების შეფერხება ან დაზიანება.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს დაგდების სახელმწიფო გადახედვლობის სამსახურის თანამშრომლებისთვის ინფორმაციული უსაფრთხოების თემაზე სამუშაო შეხვედრები გაიმართა.

შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა – ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება, რისკების სწორი შეფასების უნარის განვითარება და უსაფრთხოებაზე ზრუნვის ყოველდღიურ სამუშაო პროცესად ჩამოყალიბება.

ეთიკის ზოგადი პრინციპების და პროფესიული ქცევის მინიმალური სტანდარტების პრეზენტაცია

სადაზღვევო სექტორის მდგრადი განვითარების, მომხმარებლის ინტერესების დაცვის და სექტორში მაღალი პროფესიული სტანდარტების დამკვიდრების მიზნით, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო რეგულაციების სამსახურის ორგანიზებით, სადაზღვევო სექტორში ეთიკის ზოგადი პრინციპებისა და პროფესიული ქცევის მინიმალური სტანდარტების პრეზენტაცია გაიმართა.

დოკუმენტი შეეშავებულება მღვწეველებისთვის, როგორც სახელმძღვანელო ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს: მომხმარებელთან ურთიერთობის ეთიკურ საფუძვლებს, პროფესიული პასუხისმგებლობის მინიმალურ სტანდარტებს და ქცევის იმ პრინციპებს, რომელიც სამართლიანი, გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი სადაზღვევო ბაზრის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა.



ღონისძიება გახსნა და მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სამსახურის უფროსმა, დავით ონოფრიშვილმა. პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე რატი იონათამიშვილი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე თამარ გამბახიძე; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეები - ირაკლი კოპალიანი, ზორენა ჯანსოთელი და თამარ ლაკერაბია; ასოცირებული პროფესორი ნატალია მოწონელიძე; საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე დევი ხეჩინაშვილი; დაზღვევის კავშირის თავმჯდომარე ლაშა ნიკოლაძე. შეხვედრას მოდერაციას უწევდა დაზღვევის სახელმწიფო რეგულაციების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ნინო ნიაჰაძე.

დოკუმენტი მოიცავს - ეროვნული პრაქტიკის ანალიზს, საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვას, ევროკავშირის რეგულაციურ ჩარჩოს, ევროპაში მოქმედ ეთიკის კოდექსებს და ინსტიტუციურ მოდელებს.

დოკუმენტის შექმნის მიზანს წარმოადგენდა - სექტორში ერთიანი ეთიკური ხედვის ჩამოყალიბება და მომხმარებლის უფლებების დაცვის მექანიზმების გაძლიერება, რაც ბაზრისადმი ნდობის გრძას და პასუხისმგებლიანი სადაზღვევო კულტურის განვითარებას უზრუნველყოფს.



საქართველოს
დამავადების სახელმწიფო
ზედამხედველობის სამსახური